ეროვნული ბიბლიოთეკა


# საერთო გაზეთი

№13 (605) • 14 აპრილი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.50 ლარი


## 2021 წლის 9 აპრილს ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ არც მომკვდარა და არც სძინავს



## დაინახოს ყველამ, რომ ეს ჩვენ ვართ, საქართველო



## სიგნალები „ახალი ნოეს კიდობნიდან“




**2021 წლის 9 აპრილს, 1989 წლის 9 აპრილიდან 32 წლის შემდეგ, საქართველოში ახალი 9 აპრილი გათენდა...**

**„ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა...“**

**გმირები და მანქურთები**

**„მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის!“**

**ორმაგი სტანდარტი ანუ წინ წყალი, უკან მეწყერი**

**კატი დადეშქელიანი - თავადის ქალი მუნდირში**

**სტუმარ-მასპინძლობის თურქული ვარიანტი**

**არამზადა სერგი**

**დედოფლის მთავარი საყრდენი - პრინცი ფილიპი**

**„საერთო გაზეთი“ - გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# რედაქტორის სვეტი



9 აპრილს ევროპის მოედანზე უამრავი ადამიანი შეიკრიბა.

ერთად შეკრებილი და ერთი სულისკვეთებით გაერთიანებული ამდენი ქართველი დიდი ხანია არ მინახავს.

ეს ადამიანები არ გამოსულან რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის თუ პოლიტიკოსის მხარდასაჭერად – ისინი საქართველოს დაძახილზე საქართველოს მხარდასაჭერად გამოვიდნენ გარეთ და მტერსა და მოყვარეს მტკიცედ და კატეგორიულად განუცხადეს, რომ ამ ქვეყანას საჯიჯგნად და სათრევად არავის დაუთმობენ.

მართალია, უსიტყვოდ, დუმილით იყო ეს ყველაფერი ნათქვამი, მაგრამ ეს ის დუმილია, რომელიც რეკს, რომელსაც ხმა აქვს.

ამ გრანდიოზულ თავყრილობას რომ ვუყურებდი, გული სიხარულით და სინათლით მევსებოდა და მოუთმენლად ველოდებოდი საღამოს დადგომას, რომ მეხილა, როგორ ფართოდ და მასშტაბურად გააშუქებდნენ ქართული ტელევიზიები ამ ეროვნული მნიშვნელობის მოვლენას, თუმცა ფუჭი გამოდგა ჩემი მოლოდინი – თითქმის ყველა ტელევიზია ერთწუთიანი სიუჟეტით და სიტყვაძუნწი კომენტარით შემოიფარგლა, რამაც ერთ შემაძრწუნებელ დასკვნამდე მიმიყვანა – ესენი ყველანი ერთნი არიან და ყველანი ერთი პულტიდან იმართებიან, უბრალოდ, სახელები ჰქვიათ სხვადასხვა.

საქართველოში, ძირითადად, სამი ტიპის ტელევიზიები ფუნქციონირებენ – დედლობითი, მამლობითი და საშუალო სქესის.

დედლობითი და მამლობითი სქესის ტელევიზიებთან ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ეს საშუალო სქესის მაუწყებლები ისე ილვარჭლებიან და ისე იგრიხებიან, ყურადღებით თუ არ დააკვირდები, ვერ მიხვდები, ვისთან გაქვს საქმე.

ერთ-ერთი საშუალო სქესის ტელევიზიამ განაცხადა: 9 აპრილს ევროპის მოედანზე გია გაჩეჩილაძის მხარდამჭერები შეიკრიბნენო.

თუ მართლა ამდენი მხარდამჭერი ჰყავს გაჩეჩილაძეს, მაშინ ეგ ყოფილა მთავარი პოლიტიკოსი და დანიელსონთან თუ შარლ მიშელთან ეგ გაუშვით მოსალაპარაკებლად, რაღა ერთპროცენტიან მოხალისეებს დაარბენინებთ?

ამ ტელეარხების მესვეურებს რომ ჰკითხო, ზეპარტიული, ობიექტური და მიუკერძოებელი ტელევიზიები არიან, თუმცა მათი ობიექტურობა იმაში გამოიხატება, რომ დებატებში ხუთნაცს ერთად გამოიყვანენ, მოპასუხედ კი ერთ შალვა პაპუაშვილს მიუსვამენ.

სულ მიკვირს: რატომ ჰყავს ამ პატარა ქვეყანას ამდენი ქვემძრომი, ამდენი მოღალატე, ამდენი გამყიდველი და რატომ მოიყარა მათმა დიდმა ნაწილმა თავი მაინცდამაინც ტელეჟურნალისტიკაში?

რამდენიც არ უნდა ეცადონ ვიღაც-ვიღაცები, რა სქელი ფარდებიც არ უნდა ჩამოაფარონ თავიანთ ტელეეკრანებს, ასიათასობით ადამიანის გადამალვა შეუძლებელია.

რაც 9 აპრილს ევროპის მოედანზე ხდებოდა, „პატრიოტ" ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს ძალიან არ მოეწონათ – რიყეზე რას მიდიოდნენ, აგერ პარლამენტის წინ არ ვდგავართ ამდენი ხანია? აქ მოსულიყვნენ და ერთად აღგვენიშნა ეს დიდებული თარიღიო.

ამ პოლიტიკოსებს უნდათ, ქართველებმა საქართველოსთვის კი არა, მათთვის, მათი უბადრუკი მიზნების განხორციელებისთვის გასწირონ თავი, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს დრო უკვე დამთავრდა და დიდი გამოფხიზლების ჟამი დაიწყო.

რაც შეეხება „ნაცმოძრაობის" და მისი ქვედანაყოფების მიერ ოკუპირებულ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიას, სადაც ოპოზიციონერები ეპატიჟებოდნენ ქართველებს, ეს წმინდათაწმინდა ადგილია, რომელიც „ნაცებმა" ჩეჩმად აქციეს.

ეს წმინდათაწმინდა ადგილი ქალაქის მთავრობამ დროულად უნდა გაათავისუფლოს შინაური ოკუპანტებისგან, თორემ ეს ათიათასობით გაბრაზებული ქართველი, ერთხელაც იქნება და, ევროპის მოედნიდან ზემოთ, რუსთაველზე ამოუხვევს და თვითონ გააკეთებს ამას.

2021 წლის 9 აპრილს, 1989 წლის 9 აპრილიდან 32 წლის შემდეგ, საქართველოში ახალი 9 აპრილი გათენდა...

# 2021 წლის 9 აპრილს ქართველმა

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*



**— ბატონო რამაზ, შეგვიფასეთ, 32 წლის წინანადელი და 2021 წლის 9 აპრილი.**

— ამ ორ მოვლენას შორის, მეტ-ნაკლებად, შესაძლებელია სულიერი ხიდი, სულისკვეთების საერთოობა გაიბას. ეს საერთოობა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. რა თქმა უნდა, 1989 წლის 9 აპრილი, უდაოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით იყო გამსჭვალული. ეს ამოძრავებდა ჩვენს ქვეყანას და ყველა მოქალაქეს. თუმცა, თავისთავად, საინტერესოა: რას ნიშნავს საქრთველოს დამოუკიდებლობა? ნაწილობრივ, ამაზე პასუხს 2021 წლის 9 აპრილი იძლევა. დღესაც, თვალნათლივ გამოჩნდა რისთვის იბრძვის ქართველი — მას საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა. თუმცა, ბოლომდე თუ გავშიფრავთ იმას, რაც ზედაპირზე არ დევს, ასეთ სურათს მივიღებთ: მაგალითად, 1989 წელს ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა ნომერ პირველი ამოცანა იყო, რაც ავად თუ კარგად გადაწყდა. დღეს, პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხი არ გვიდგას, მაგრამ უცნობმა ხალხი, სწორედ, 9 აპრილს გამოიყვანა და ისევ, საქართველოს სახელით. ხალხის თავყრილობა, მიტინგი შედგა. ეს ვერ მოახერხა ძალიან მონდომებულმა პარტიებმა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მიტინგების მოწყობაზე, ფულს ხარჯავენ იმაში, რომ ხალხი რაიონებიდან ჩამოიყვანონ საკუთარი ტრანსპორტის უზრუნველყოფით. დიახ, ეს პარტიებიც ვერ ახერხებენ იმდენი ხალხის თავმოყრას, რამდენიც 9აპრილს უცნობის დაძახილზე შეიკრიბა, ძირითადად, თბილისის მოსახლეობა. რატომ, რა საერთოა ამ ორ 9 აპრილს შორის? — დღევანდელი 9 აპრილიც იგივე მიზანს ემსახურებოდა, უფრო ზუსტად, საქართველოსთვის თვითმყოფადობის შენარჩუნებას. გავიხსენოთ, ილიას ფორმულა — ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო. დიახ, ჩვენადვე გვეყუდვნოდეს პოლიტიკურად, კულტურულად და ცხოვრების წესის თვალსაზრისით. სწორედ, ამას გაუსვა უცნობმა ხაზი. ეს ქვეტექსტი იყო 2021 წლის 9 აპრილში და სწორედ ამან მოიყვანა ხალხი აქციაზე. კერძოდ, იქ, იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ტრადიციულ, ქართულ ცხოვრების წესს, კულტურულ ღირებულებებს, რელიგიას პატივს სცემენ. მათ თქვეს: ვინც ამ ფასეულობებს უგულვებელყოფს, ასეთი ხალხი არ გვინდაო. აი, ეს განაცხადი გაკეთდა აქციაზე. ამიტომაც, დღევანდელ 9 აპრილს ხალხმა პატივისცემის ნიშნად საპატრიარქოსკენ მსვლელობა მოაწყო და პატრიარქს პატივი სცა. ანუ, ადამიანური ღირებულების ყველაზე ძლიერ განსხეულებას ჩვენს თანამედროვე ეპოქაში. გამიჩნდა აზრი: 1989 წლის 9 აპრილსაც, როცა ახალგაზრდა კაცი ტანკს ჯოხს ურტყამდა, იქნებ, მაშინაც მთავარი სატკივარი ეროვნული ღირებულებების დაცვა იყო და არა იმდენად პოლიტიკური. ჩვენი, ეროვნული ღირებულებებისთვის კომუნისტურ პარტიას, წყობას, საბჭოთა კავშირს ხელი რომ არ ეხლო, შეიძლება საქართველოში ასეთი მძაფრი ანტისაბჭოთა დამოკიდებულება არც ყოფილიყო. იგი, ყველა რესპუბლიკაში, სწორედ, ეროვნულს ანადგურებდა. ერთხანს, ეროვნულობაზე აქცენტის გაკეთება დანაშაულიც იყო. ლადო ასათიანის ლექსები სწორედ პატრიოტულობის გამო აკრძალული იყო. აი, ასეთი ქვეყანა შექმნეს და გამოიარეს ადამიანებმა. პროტესტის, ძირითადი, მიზეზი სწორედ ეს იყო. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რა დღეში აგდებდნენ ღვთისმსახურებს, ეთნიკურ შემადგენლობას, სულ წყლის ამღვრევის სურვილი ჰქონდათ. ფართო გაგებით, ალბათ, ეს ნიშნავს დამოუკიდებლობას და არა მხოლოდ დროშის და ჰიმნის წარდგენის უფლება. დიახ, შენი თავი შენადვე უნდა გეყუდნოდეს შენი კულტურით, რელიგიით, ცუდით და კარგით, შეგეძლოს იყო ისეთი, როგორიც თავად გსურს. სწორედ, ეს გამოხატა ხალხმა 2021 წლის 9 აპრილს. უცნობი მანქურთებს ეძახდა იმ პოლიტი-

## ვახტანგ ხარჩილავა

***

ხალხი და მხოლოდ ხალხი.
გალაკტიონი

როცა ეგონათ, გადაივიწყა,
რაც ტკივილი და ტანჯვა იწვნია,
მაშინ თქვა სწორედ: — მე არაფერი,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

როცა ეგონათ, დაჩაჩანაკდა,
დაუძლურდა და უკვე იძლია,
მაშინ შესძახა: — მე არაფერი,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

მაღალ დროშებს რომ ასდით
ალმურად,
უანკარესი მისი სისხლია.
— ნუ გეშინია, ჩემო მამულო,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

არ შეიძლება გახდეს ბეჩავი,
ვინც ისტორიის მეკვლედ გვიცვნია,
— თქვენ არაფერი არ შეგეშალოთ,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

1988 წ.

„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ახალი-დასავალის" სტამბაში: თბილისი, აბლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალაა.

# ხალხმა დაამტკიცა, რომ არც მომკვდარა და არც სძინავს



...კურ ჯგუფებს, რომლებიც ხელისუფლებისკენ მიიწევენ. რაც მთავარია, ისინი უკვე იყვნენ ხელისუფლებაში და კარგად დავინახეთ, რომ მათთვის რელიგია, ქრისტიანობისადმი, ეკლესიისადმი დამოკიდებულება, უმცროს-უფროსის ურთიერთობები არაფერს ნიშნავს. გავიხსენოთ, პოზნერისთვის ნასროლი კვერცხები. ასაკსაც კი არ მოერიდნენ. ბულინგური ტერორიც, აბსოლუტურად, არაქართულია და იმ ჯგუფებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც დღეს ხელისუფლებისთვის იბრძვიან, ოღონდ, რევოლუციის, ნგრევის და ერთმანეთის განადგურების ხარჯზე. აი, ამ არაქართული გზის და ცხოვრების წინააღმდეგ იყო 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილიც და წლევანდელი, ძალიან კორექტულად და ზრდილობიანად ჩატარებული 9 აპრილიც. უცნობმა აღნიშნა: 9 აპრილი უნდა გახდეს ის დღე, როცა საზოგადოება გამოხატავს თავის მაღალ სურვილებს, არა იმდენად პოლიტიკურს, არამედ ხალხი დაიცავს თავისი ცხოვრების წესს, კულტურას და მსოფლმხედველობას. აი, ეს დღე იყო 1989 წელსაც და 2021-საც.

**— ანუ, დღეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 9 აპრილის მიზანი მიღწეულია?**

— რა თქმა უნდა, 9 აპრილის მიზანი მიღწეულია. მე, ნახევარი ცხოვრება საბჭოთა კავშირში გავატარე. საქართველო, დღეს, ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობას ამყარებს. საბჭოთა კავშირის დროს, უცხო ქვეყანაში ჩასული სპორტსმენი თუ ხელოვანი ვალდებული იყო თავისი შემოსავალი საბჭოთა ხაზინაში გადაერიცა. მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირში უფროსი ძმა ანუ, რუსი იყო პრივილეგირებული და ყველგან ცდილობდნენ პირველ პლანზე რუსეთი წამოეწიათ. ანუ, საბჭოთა კავშირი წარდგენილი ყოფილიყო რუსეთის სახით, რამაც ჩვენი სპორტსმენები რთულ მდგომარეობაში ბევრჯერ ჩააგდო. დღეს, ფეხბურთი არ გვაქვს, თორემ, რაგბი და ჩოგბურთი, სრულიად დამოუკიდებლად, საქართველოს ჰიმნით აგრძელებს მსოფლიოში წინსვლას. ასეთი რამ, მაშინ, სანატრელი იყო. დიახ, მაშინ სპორტი პოლიტიკის ნაწილი იყო — სპორტსმენს სწორედ იმიტომ ვბალეშჩიკობდით, რომ მას რუსი დაემარცხებინა. ამ მხრივ, შეგვეძლო პოლიტიკაში გულის მოფხანა. დღეს, ჩვენი რაგბისტები ისე გაბმულად ამარცხებენ რუსებს, რომ აღარც ვიმჩნევთ მიუხედავად იმისა, რომ აგრესი კვლავ გვაქვს — რუსეთს ხომ ჩვენი ტერიტორიები მითვისებული აქვს. ასე, რომ რუსეთი დღესაც მტერია, ოღონდ, უკვე გარეთა მტერია და არა შიდა, სახელმწიფოში მოქმედებით, უფლებებით აღჭურვილი მტერი. იგი არის არა ის მტერი, რომელმაც მთელი შენი ქვეყანა დაიპყრო, არამედ მტერი, რომელმაც შენი ტერიტორიები მოიტაცა. რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ოღონდ, ისიც უნდა ვისწავლოთ — რა არის დამოუკიდებლობა. იმედია ვისწავლით იმიტომ, რომ დამოუკიდებლობა ის არ არის, რასაც ხშირად ამბობენ-ხოლმე: რა მნიშვნელობა აქვს ვინ გვიკარნახებს როგორ მოვიქცეთ — მოსკოვი, ბრიუსელი თუ ვაშინგტონიო. აქვს მნიშვნელობა! ბრიუსელი და ვაშინგტონი რიგ შემთხვევებში გკარნახობს როგორ მოვიქცეთ იმიტომ, რომ ჩვენი პარტნიორია. მოსკოვი გკარნახობდა იმიტომ, რომ ჩვენი პატრონი იყო. იგი, ბატონყმობის რეჟიმის წესით გკარნახობენ, ბრიუსელი კი — პარტნიორული წესით. თანაც, პარტნიორებად, ეს ქვეყნები, ჩვენ ავირჩიეთ. რუსეთი, ადრე, ერეკლეს დროს, სამხედრო პარტნიორად ავირჩიეთ, დანარჩენი მერე, რაც ამას რუსეთის მხრიდან მოჰყვა, ძალადობა იყო. ვაშინგტონსაც და ბრიუსელსაც ანგარიშს ვუწევთ და არა ვემორჩილებით. ანგარიშის გაწევა თავისუფალი ქვეყნის დამახასიათებელი ნიშანია, დამორჩილება — დაპყრობილის. აი, ეს განსხვავებაა.

**— 2021 წლის 9 აპრილი რამდენად არის ნიშანი იმისა, რომ ქართველი ხალხი არ მომკვდარა, ცოცხალია?**

— დიახ, არ მომკვდარა და არც სძინავს. ხომ გახსოვთ, აკაკის ლექსი: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!“ აი, სწორედ, გაღვიძებული ქართველი ხალხი იყო 9 აპრილს ქუჩაში გამოსული ყოველგვარი აგრესიის, ზეწოლის გარეშე. თან, გაცილებით ნაკლები, ვიდრე უნდა ყოფილიყო. კოვიდ პანდემიის გამო ბევრმა აარიდა თავი. თორემ, მინიმუმ სამი ამდენი კიდევ იქნებოდა მათ დასანახად, რომ საქართველო მხოლოდ იმ ჯგუფების არ არის, ვისაც პოლიტიკური პრეტენზიები აქვთ. ეს ხალხი ძალაუფლებას მას მოაპოვებინებს ვინც ჩვენს კულტურას, რელიგიას, ტერიტორიებს, მიწებს დაიცავს და ვინც ქართულ სოფლებს ქვების გროვად არ მოიხსენიებს. ვინც ამ ღირებულებებს უარყოფს, სწორედ მათ წინააღმდეგ გაიმართა 9 აპრილს აქცია.

**— 9 აპრილიდან 15 მაისამდე, რას ხედავთ ამ გზაზე?**

— ვერ გეტყვით. ჩვენი დინამიური ცხოვრება 15 მაისამდე რას მოიტანს, არ ვიცი. „ნაციონალები“ რა დასკვნებს გააკეთებენ, არც ეს ვიცი. საჯაროდ, ისინი ასე საუბრობენ: ხელისუფლებამ 9 აპრილს ძალით გამორეკა ხალხი მიტინგზეო. ამ ხალხს ძალით გამორეკილის არაფერი ეტყობოდა. მეორეც, შესაბამისმა ტელევიზიებმა, ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს ხალხი „გამოეტეხათ“, თითქოს, აზრზე არ არიან სად იმყოფებიან და რატომ. ჩამოუარეს იქ შეკრებილ საზოგადოებას და აღმოჩნდა, რომ ყველამ ძალიან კარგად იცის რატომ გამოვიდა აქციაზე. ძალით გამორეკილმა ხალხმა ეს არ იცის-ხოლმე. სხვათა შორის, „ნაციონალების“ მიტინგზე მისულმა ხალხმა არასდროს იცის, იქ, რატომ იმყოფება. ისინი თავიანთ თანხას აიღებენ, ჩამოვლენ თბილისში და მერე უკან რეგიონებში ბრუნდებიან. მათ უნდოდათ ამ მიტინგთან დაკავშირებითაც იგივე სურათი შექმნილიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. „ნაციონალებს“ სჩვევიათ: თავიანთი ნათქვამის თვითონ სჯერათ-ხოლმე. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, 15 მაისს მიტინგი ჩაატარონ, ოღონდ, მგონია, ეს ცოტა სახიფათო იქნება პოლიტიკური რეიტინგის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ისინი აქციებზე ხალხს ვერ აგროვებენ. ამიტომ, პოლიტიკურად „ნაცებისთვის“ 15 მაისი ძალიან წამგებიანი იქნება.

**— მოლაპარაკებების რაუნდები უშედეგოდ სრულდება. რა სურთ „ნაცებს“ — კრიზისის ფონზე არჩევნების დანიშვნას მიაღწიონ და მერე ქვეყნის „მხსნელებად“ მოგვევლინონ? ვის აწყობს ეს სცენარი?**

— ჯერ ერთი, თუ არჩევნები დაინიშნება, ყველა გამოკვლევა ცხადყოფს, რომ „ნაციონალები“ „მხსნელებად“ ვერ მოგვევლინებიან. მათ დაბალი რეიტინგები აქვთ. თუ არჩევნები დაინიშნება, უფრო წაგებულნი იქნებიან, ვიდრე დღეს არიან. უფრო ნაკლებ მანდატებსაც აიღებენ. რეიტინგები ხომ ქვეყნდება, მაგრამ მაინც იგივეს იმეორებენ. ამიტომ, თქვენი კითხვის პასუხად — ვის აწყობს ყოველივე, მგონია, რომ ეს მხოლოდდამხოლოდ რუსული სცენარია. რუსებმა პოზნერის ინციდენტს ისე ბეჯითად გაუსვეს ხაზი და ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გამოიტანეს დასკვნა, რომ საქართველოში მგზავრობა სახიფათოა, რომ არასტაბილურობის ერთი ფრაგმენტის ასეთი შეფასება, შემთხვევითი არ მგონია. რუსი ტურისტების დიდი ნაწილი მაინც საქართველოსკენ მოდის. მათ არ უნდათ სოჩა, მით უმეტეს, აფხაზეთი. აფხაზეთი, რომელიც იმავე მდგომარეობაშია, რაშიც ომის დამთავრებისას იყო.

**— დასავლეთმა ღიად განაცხადა, რომ ოპოზიცია რუსულ ინტერესებს ემსახურება, თუმცა ამის წინააღმდეგ არავითარ ქმედებებს არ ახორციელებს. რა არის ამის მიზეზი?**

— დასავლეთის კომენტირება უფრო რთულია, ვიდრე რუსეთის. ახლა, რაც შეეხება დასავლეთს, მას რუსეთის განიარაღება თუ უნდოდა, ეს ამბავი, საერთოდ არ უნდა შეემჩნია. მან კი რა გააკეთა? — უმაღლესი ტრიბუნიდან გამოაცხადა: პარლამენტში რომ არ შედიხართ, ამით რუსეთის საქმეს აკეთებთო. რა საჭირო იყო ეს ანტირუსული დემარში, გაუგებარია გარდა იმისა, რომ ამან ოპოზიცია უფრო ჯიუტი გახადა — ვენები გადაიჭრა და პარლამენტში არ შევიდა. რაც მთავარია, რუსეთმა ძალიან იმხიარულა, რადგან ევროპამ საქართველოში დიპლომატიურ არენაზე წარმატებას ვერ მიაღწია. პირველი მცდელობის მერე, მეორეც რომ ჩავარდა, ალბათ, კიდევ უფრო გაუხარდებოდათ. ასე, რომ ევროპა, ყოველთვის, წინდახედულად არ იქცევა. რატომ არ იქცევა ასე, ეს უკვე სხვა საუბრის თემაა. კერძოდ, რამდენად არის დღეს ევროპული პოლიტიკა იმ გამოწვევების სიმაღლეზე, რაც მის წინაშე დგას. ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთს უამრავი გამოწვევა აქვს და ამ ამოცანების გადაჭრის დროს, ყოველთვის, ჭკვიანურად ვერ იქცევა.

მათ ჰქონდათ ასეთი სტერეოტიპი: კოსოვოსთვის დამოუკიდებლობა უნდა მიეცათ. რატომ, რომ გეკითხათ, პასუხი არ ჰქონდათ. თვლიდნენ რომ ეს როგორც ანტირუსული ნაბიჯი, უნდა გადაედგათ. ქართველი დიპლომატები თხოვდნენ დაკვირვებას, ეუბნებოდნენ: კოსოვოს დამოუკიდებლობას რომ აღიარებთ, მერე, რუსეთი აღიარებს აფხაზეთის და ოსეთის დამოუკიდებლობასო. რუსეთი ვერაფერს გაბედავსო, გვიმტკიცებდნენ. მან კი გაბედა კიდეც და ხუთი იმდენიც გააკეთა, ვიდრე ევროპა ვარაუდობდა. ასე, რომ დღეს ევროპულ აზროვნებაში ეს სტერეოტიპები დიდ როლს თამაშობენ. სტერეოტიპებია ხელოვნებაში, კულტურაში, სამეცნიერო მიმართულებებში, სადაც ყველაფერი გრანტებზეა დამოკიდებული. ანალოგიურად, პოლიტიკოსმაც სტერეოტიპებით უნდა იმოქმედოს იმიტომ, რომ იგი ამომრჩეველზეა დამოკიდებული. ამომრჩეველი პოლიტიკის აზრზე არ არის. ამიტომ, გვაქვს ყველა მიმართულებით უკუსვლა, რაც წესით ჩვენს ბედ-იღბალს განსაზღვრავს. იძულებული ვართ მხარი ასეთ ცხოვრებას ავუბათ. გრანტი რომ მივიღოთ, ისეთი პრობლემები უნდა დავამუშავოთ, რაც იქ, სტერეოტიპულად მოდაშია. ასე თუ არ მოვიქეცით, გრანტს ვერ მივიღებთ. ამ მდგომარეობაშია მთლიანად საქართველო.



თამარ შველიძე
555 23 28 24

# სიგნალები „ახალი ნოეს კიდობნიდან“



**კობა არაბული:**

მითოსურ-ანდრეზული ცოდნით, ნოეს კიდობანი ენკენიის თვეში გაიხსნა და იქიდან ახალი ცივილიზაცია გადმოვიდა...

გადმოვიდა კიდობნის გველი, რომელმაც მკურნალი ტყავი შუბანის სალოცავში დატოვა.

ეს თემი დიდი საიდუმლო სამკურნალო ცოდნის მგლობელი გახდა.

ნოეს კიდობნიდან გადმოსულმა ცივილიზაციამ (ცოდნამ) მთლიანად შეცვალა თემის ცნობიერება; დაამკვიდრა ხელოვნების: რკინის, ოქრომჭედლობის, სამეურნეო ცოდნის, რჯულის ახალი სისტემა გარკვეული მორალური კოდექსები (კანონები) და, მათ შორის, მეომრის, პოეზიის და ქალის კულტი.

სავარაუდოდ, მათ ნოეს კიდობნის მეომრებმა — კოპალა-იახსარის და ამირანის ტიპის ხვთისშვილებთან წილნაყარმა მეომრებმა დაამარცხეს და განდევნეს კაციჭამია დევების ველური მოდგმა და საყმოში — ქართველი მიწა-წყლის ვრცელ მონაკვეთზე დააფუძნეს ერთგვარი „ეგალიტარული“ — ძალადობისგან დაცული, თანასწორთა მორწმუნე საზოგადოება: გვაროვნული თემი, სადაც ხელშეუვალი იყო თემში მყოფი ქალისა და კაცის (მამრის და მდედრის) და ბავშვის პიროვნული ღირსება და ა. შ.

ნოეს კიდობნის ეს მითი „უცნობის კიდობანმა“ გამახსენა. ეს კიდობანი კიდევაც წააგავს მას.

●

თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ საკრალური და სიმბოლურია „სახელწოდება“ და იდეა ქართველი ერის განახლების. მისი ისტორიული ფესვებიდან და მისი მორალური ცნობიერებიდან. სამწუხაროდ, ჩვენ დავშორდით (სულ უფრო და უფრო ვშორდებით) ერის იმ კულტურულ ფენომენს, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ფაზაში მივაღწიეთ — დაწყებული ფარნავაზიდან (და უფრო უწინარესი დროიდან) ჩვენს დრომდე და თანდათან ვუბრუნდებით ადამიანთა პირველყოფილ ველურ ბუნებას, ცხოველური გამოხატვის თუ „ქცევის „თავისუფლებას“... სახელმწიფოს (ერის) საარსებო სივრცეს ვათავისუფლებთ ყოველგვარი მორალისგან და გარკვეული კასტა ჩვენი საზოგადოებისა ჯიუტად უჭერს მხარს უმორალო, ურელიგიო, სამართლის გარეთ მდგომი სახელმწიფოს არსებობას, ყოველგვარი ღირსეულის ჭაობად ქცევას.

საზოგადოებაში ყოველივე ამის წინააღმდეგ დაგუბებული პროტესტი გადმოდინდა „ნოეს ახალი კიდობნიდან“.

ეს კიდობანი გარკვეული საიდუმლოს და მოლოდინის შემცველია. რაც უეჭველად უნდა გაცხადდეს. აქედან უნდა დაიწყოს ერის სულიერი განახლება ძველი და ახალი კულტურის სინთეზით, მისი ცნობიერების აღსადგენად. ამ კიდობნიდან გადმოსულმა სინერგიამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეძლოს ერის ზნეობრივი სივრცის გაწმენდა და სატელევიზიო, მასონურ-მაზოხისტური ტერორის აღკვეთა, ერზე მაზომბირებელი ნიმბის მოხსნა.

ასე, ამ გაუგონარი სიტყვიერი ძალადობის და ღია, პირდაპირი შეურაცხყოფის პირობებში ერის და სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია!

ასეთ სატანისტურ-ვულგარული მასმედიის მარწუხებში არც ერთი ჩვენი მეზობელი თუ შორეული ქვეყანა (სახელმწიფო) არ ცხოვრობს არც პაპუასების და იროკეზების მიწაზე, ყველგან რალაცა რალაცით რეგულირდება. ამას მხოლოდ ჩვენ, რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას სამშობლოში ვითმენთ და ვამკვიდრებთ. ვმოქმედებთ მართლაც კოლონიური ფსიქიკით...

კარგია, როცა ამ ახალი კიდობნიდან ამ თემამ გაიჟღერა და პროტესტმა „გამოჟონა“...

საგანგებოდ ვამბობ, რომ „გამოჟონა“, რადგანაც მიმაჩნია, რომ ეს პროტესტი თანდათან უნდა „ამოიფრქვეს“ ამ კიდობნიდან, თორემ მხოლოდ „მდუმარე“ აქციით ამის დაძლევა შეუძლებელია!

ხაზარაძეები ვერ აღიქვამენ დუმილს მუქარად.

უდუმაშვილებისა და ხოშტარია-ხატია დეკანოიძე-სამადაშვილების ტიპის შეზღუდული არსებებისთვის „მდუმარე პროტესტი“ გაუგებარია, ვიდრე იგი არ იქცევა რაიმე ენერგეტიკულ ბერკეტად, თუნდაც შეუვალ კანონად და სახელმწიფოებრივ სამართლად; ვიდრე მორალი არ იქცევა სახელმწიფო რეჟიმის ნაწილად და სტრუქტურად, რომელიც არ მოითმენს არამზადების თარეშს და ბაკქანალიას ქვეყანაში.

თუნდაც 9 აპრილის (და კადეტთა) მემორიალური ხატის (ნიშის) წაბილწვას, ჭეშმარიტად შეწირულთა სულების და სახელების უდიერ შეურაცხყოფას მთელი საზოგადოების თვალწინ.

მართლაც დიდება თქვენს მოთმინებას და გაძლებას, ქართველებო!

●

ამ შეკრების მთავარი გზავნილი იყო „მდუმარე პროტესტი“ იმ პოლიტიკური-ფაშისტურ-სექტანტური პარტიების მიმართ, რომელთაც ერთხელ უკვე მოაოხრეს და „მოწამლეს“ ეს ქვეყანა („ვანო ხორნაულის ჯორივით“) და თავიდან კიდევ მოუნდათ მოჭმა და მოოხრება!

ეს „მაოხარი“ პარტიები ძალადობით ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას! მათ არ უნდათ არავითარი არჩევნები და პარლა-



მენტში შესვლა, უნდათ „ოცნების“ პირდაპირი განდევნა, ამ უზნეო ხლისტებს!

პოლიტიკურ სექტათა და კლანთა ამ ანომალიურ ბრბოს (ხროვას — ამ სიტყვას საგანგებოდ ვხმარობ), ეტყობა, დავიწყების პარანოიდული სინდრომი შეხვდათ და არ ახსოვთ, ვინ არიან და საიდან მოვიდნენ.

მაგრამ ჩვენ, საზოგადოებას, ხომ არ დაგვიკარგავს მეხსიერება, თუ ვინ არიან სააკაშვილის ეს „გენერლები“ და „დავერბოვკებული“ მონები და მეძავები, რომელთაც ქვეყნის მიწა-წყალი შაგრენის ტყავად გვიქციეს და არასოდეს ყოფილა ასე შეკუმშული და აოხრებული საქართველო, როგორც ამათ ხელში.

ასე გაუპატიურებული და მორგებში დაფლული და ახლა ამ ჯალათებს უნდათ დაბრუნება. ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ გასაკვირია, ბურჯანაძე-ბარამიძე-ბოკერიებს და მათ მომყოლთ რომ არ ახსოვთ და აღდგომის ბატკნებივით გროვდებიან შალიკოს თავლაში ეს ცხვრისტყავიანი ტურები.

რამდენადმე გასაკვირია ისიც, რომ არც ამერიკის და ევროკავშირის ზოგიერთ მოციქულს ახსოვს, თუ ვინ არიან ესენი და ზოგიერთი მათგანი სააკაშვილის ივანიშვილთან „დაჯდომასაც“ ითხოვს.

ეს საგანგაშო პრეცედენტია!

კაცი, რომლის ნაგები გენიალური ტაძარი დაგვყურებს თავზე, თურმე უნდა ელაპარაკოს კაცს, რომელმაც 120 სოფლის, თემის და კუთხის ნანგრევებში ჩაგვტოვა და „რიტუალი“ საკუთარ მიცვალებულებზე „როკვით“ დაასრულა!



●

არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ შეკრების აქცენტები სწორი იყო.

„ნოეს ახალი კიდობნიდან“ ისინი სწორად და ემოციურად გაჟღერდა და საზოგადოებამ იგრძნო ეს იმპულსები.

მაგრამ ეს იმპულსები „მდუმარე საპროტესტო აქციად“ არ უნდა დარჩეს, მდუმარე პროტესტში არ უნდა ჩაიკარგოს! დუმილი ზღვრული და საშიში უნდა იყოს.

ეს „მკაცრი დუმილის“ წითელი შუქი გაფრთხილება იყო „შავი ხვრელიდან“ გამოსული შავსისხლიანი, უწმინდური ლიბერასტი ანტიქრისტეების, „უსამშობლო“ სექტანტების გასაგონად. იმის ნიშნად, რომ ქართველი ერი არ თმობს ენას, მამულს და სარწმუნოებას! ეს კარგად უნდა გაიგონ, სხვადასხვა ტიპის ჰადესის თხებმა.

და უნდა გაიგონ ჩვენმა ევროატლანტიკურმა მეგობარმა ემისრებმაც!..

●

სწორად ითქვა, რომ ხალხია მთავარი, რომელიც აქ მოვიდა და მთლიანი სივრცე მოიცვა ევროპის მოედნიდან მეტეხამდე, აბოს ნიშიდან 100 000 წამებულის ხიდის ჩათვლით...

ხალხია (ერია) მთავარი და არა ის პარტიებად წოდებული სინდისგარეცხილი და სახელგატეხილი (და თავგატეხილი) მანქურთების კლანი, რომელიც ქუჩებში დაძრწის და ყველგან ძალადობით შეჭრას ცდილობს.

და აგრეთვე მკაცრი საყვედური (გაფრთხილება) ხელისუფლებას, რომელიც ვერ იღებს კანონებს, ვერ იჭერს დამნაშავეს და ვერ ახერხებს საზოგადოების დაცვას...

ხელისუფლება უნდა იყოს გაცილებით აქტიური და გაბედული, ის გარემოცულია შიდა და გარე ძალების ძალადობის შიშით და ეს შიშის სინდრომი მან უნდა დაძლიოს ხალხთან კავშირით, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, ან არ უნდა.

●

დაბოლოს, „ნოეს ახალი კიდობნიდან“ ყველაზე მთავარი გზავნილი იყო საზოგადოებრივი მოძრაობის „აი, იას“ დაფუძნება და ამ დიდებული სახელის მირქმევა!

მთავარი სახელია, თუ სწორად დაანათლავ!

„აი, ია!“ — გვეუბნება, რომ უნდა გაარჩიო თეთრი და შავი! მტყუანი და მართალი, დღე და ღამე! რომ ეს არის „ია“ და არ არის ლენცოფა!

„აი, ია“ — ეს არის დედაენა!

ეს არის მამული და სარწმუნოება!

ეს არის ერის კულტურა და ტრადიცია, მისი მენტალობა!

ამდენად, „აი, იამ“ უნდა გადაარჩინოს ქვეყანა, ერი, როგორც თავის დროზე გოგებაშვილის „დედა ენამ“ (აი, იამ) გადაარჩინა.

„აი, ია“ უნდა იქცეს დიად სახალხო ფორუმად.

„აი, ია“ უნდა იქცეს ერის სინდისის ქვაკუთხედად (სინონიმად) და ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებულ უძლიერეს მოძრაობად ლოგოსური ლოზუნგით: „ღმერთი სიყვარულია“ — „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გმირები და მანქურთები

დილით გამოაცხადეს, რუსთაველის გამზირზე უწესრიგობას ოცი ახალგაზრდა ემსხვერპლაო. თან ისე გამოაცხადეს, თითქოს ისინი ტყუოდნენ, მათ შექმნეს ცუდი სიტუაცია, მათ არ დაუჯერეს ზემდგომ ორგანოებს, უფროსებს, ამხანაგებს, უგულებელყვეს პატრიარქის მოწოდება, რომ დაშლილიყვნენ და დაბრუნებოდნენ ოჯახებს. მეტიც, აქციის მონაწილეები გამოდიოდნენ ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებებით, ამიტომ, საბჭოთა ჯარმა ალადგინა წესრიგი... არ გამოუცხადებიათ, მთვრალმა ჯარისკაცებმა, დუქმორეულებმა, საიდანღაც მოყვანილებმა, გადმოსროლილებმა ნიჩბებით აჩეხეს ახალგაზრდებიო.

მაშინ ჯერ ისევ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით, ოღონდ უკვე ძირგამომპალსა და ჩამონგრეულში. ყოველ სალამოს დავდიოდი რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ. იმ ღამეს ვერ წავედი, მეუღლეს უნდა ემშობიარა დღე-დღეზე, მთხოვა, სახლში დარჩიო და... შესაძლოა, ამით გადამარჩინა კიდეც.



უმანკოთა სისხლი იმ ადგილას დაიღვარა, სადაც ამჟამად შარდისა და ნაგავის სუნი ტრიალებს. ქვეყნის მტრებმა დედაქალაქის ცენტრალური უბანი (ადგილი) გაიპიროვნეს, კარვები გაშალეს და იქაურობა ერთ დიდ უბორნიად აქციეს. უკვე თვეები გადის, რაც სააკაშვილის მცირე ჯოგი რუსთაველზე ბინადრობს... იქვე ჭამენ, იქვე სვამენ, იქვე საქმობენ, ღლაბუცობენ, კარტს თამაშობენ და ეს ყველაფერი ხდება დემოკრატიის სახელით. დასუფთავების სამსახურიდან ყოველდღე მიდიან, ხვეტავენ, ასუფთავებენ, დეზინფექციასაც ატარებენ, მაგრამ მაინც ყარს იქაურობა... ყარს ყველანაირი გაგებით – მორალურად, ადამიანურად, პოლიტიკურად, მოქალაქეობრივად, სამართლებრივად. ხალხი შეწუხდა, ირგვლივ მაცხოვრებლები ჩივიან, განიცდიან, ხელისუფლებას მიმართავენ, მაგრამ კარვების აყროლებულ „დასახლებაში“ ბუზსაც არავინ აფრენს. მიზეზი? ისეთი არაფერი... შეიძლება დემოკრატიას საფრთხე შეექმნას, ეგ არის და ეგ. არადა, დემოკრატია არაფერ შუაშია, ამ უჯიშოებს გასდით და აკეთებენ – მივიდნენ, მოიზომეს, გაშალეს, მოფსეს, ხმას არავინ იღებს... აეგრე, ჩასახლდნენ, დაშლას არ აპირებენ, ტერიტორია პრივატიზებული აქვთ.

სააკაშვილის ხელის ბიჭებისა და გოგოების უნამუსობას აღარ აქვს საზღვარი. არც ადრე ჰქონდა, მაგრამ თავზე ასე არ/ვერ ასხდნენ ქვეყანას!

წესით, 9 აპრილს მაინც უნდა მოსულიყვნენ გონს, აეშალათ კარვები და ხალხისთვის ეთქვათ: მობრძანდით, პატივი მიაგეთ გმირულად დაღუპულებსო. არ გააკეთეს, არ მოიქცნენ ასე. ფეხებზე ჰკიდიათ და იმიტომ.

აქეთ, ევროპის მოედანზე (რიყეზე) გია გაჩეჩილაძემ (უცნობმა) გამართა აქცია. რუსთაველზე არ მისულან აქციის მონაწილეები, პროვოკაციას მოერიდნენ. სადაც „ნაციონალია“ იქ არის ჩასაფრებული პროვოკაციაც, შარიც და ხათაბალაც – უბრალოდ ხელი რომ აუქნიოთ, ეგრევე პოლიციაში გარბიან განცხადებით, „მავნებმა“ ნეკნები ჩაგვიმტვრიეს და ხეხემლები დაგვიზიანესო, გაგვაუპატიურესო. გვერდით რომ ჩაუარო და შემთხვევით მხარი გაჰკრა, მთელ მსოფლიოს მოსდებენ, დაგვარბიესო, ევროპის წამყვანი ქვეყნების მთავრობებს არ იკმარებენ, აშშ-ის კონგრესს, სენატს და აზია-აფრიკის ქვეყნებს მისწერენ. არ დარჩება არც ერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო, საქმის კურსში რომ არ ჩააყენონ და დასკვნები არ გამოაქვეყნებინონ. ალარაფერს ვამბობ ინგა გრიგოლიას „რეაქციაზე“, ნოდარა მელაძის „შაბათზე“, ეკა კვესიტაძის „კვნესაზე“, ნიკირტუმ გვარამიას „მონოლოგზე“, ნინო ჟიჟილაშვილის „ჟივჟივზე“, ეკა მიშველაძისა და მისი ქმრის გადაცემაზე, პარასკევობით როა ხოლმე, გუგულებივით რო გამოსხდებიან ხოლმე... რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ე.წ. ოპოზიცია სულს ღაფავს, გასაგებია, ვხედავთ და რაკი სულს ღაფავს, ანუ კვდება, თუ არ დავმარხავთ, ცხადია, აყროლდება კიდევაც. ვინ უნდა დამარხოს? წესით, ხელისუფლებამ. როგორ? კანონითა და სამართლით. ის, რაც არ შეიძლება ჩემთვის და თქვენთვის, არ უნდა შეიძლებოდეს მათთვის, „ნაციონალებისთვის“. არადა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ რაც არ გვეპატიება ჩვენ, ეპატიებათ მანქურთებს. რატომ? ჩემი აზრით, ხშირად ხელისუფლებაც შარსა და ხათაბალას ერიდება. თუმცა ეს ძალიან ცუდია... ამიხსენით, რატომ უნდა იყოს თვეების განმავლობაში, მაგალითად, გამოთაყვანებული კობა ხაბაზი წამოპლაკული რუსთაველის გამზირზე და ხეთქავდეს გლდანიდან მიტანილ შაურმას? რატომ უნდა არღვევდნენ „ნაცები“ და მათთან გათანაბრებული პირები კომენდანტის საათს, რატომ უნდა იკიდებდნენ ფეხებზე კანონსა და სამართალს? მერე იტყვიან, რატომ დაგროვდა მოსახლეობაში ამდენი აგრესიაო? აი, აქედან, ბატონებო, აქედან! როდესაც ადამიანი ხედავს, როგორ ირღვევა კანონი მანქურთებისა და ძონძების მიერ, ის ადამიანი, ოდესღაც ნორმალური, ხდება



აგრესიული და შეურაცხადი.

საქართველოს ტერიტორიაზე ვერავინ გამართავს აქციას, მანიფესტაციას, ვერ გაშლის კარვებს, თუ არ შეიტანა განაცხადი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, ამჯერად საუბარია თბილისის მერიაზე. განაცხადში მითითებული უნდა იყოს აქციის, მანიფესტაციის გამართვის ვადა, უვადო არ არსებობს. ამოცანა გვეკითხება: ამ მანქურთებმა რანაირი განცხადება შეიტანეს მერიაში, რომ არც ვადა გასდის, არცა ძველდება? რაღა დაგიმალოთ და... როცა ამ წერილის წერა დავიწყე, პარალელურად, როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, სამჯერ გადავლანდრე, ანუ წავიკითხ-შევისწავლე. ნახეთ, რა მაგარი სიტყვაა: „გადავლანდრე“. სხვათა შორის, ეს სიტყვა არსად არ იძებნება, არც ლექსიკონებში, არც გუგლში, მაქვს ეჭვი, რომ ბებიაჩემის მოგონილია. ჰოდა, იმას ვამბობდი... კანონი წავიკითხე და საერთოდ არ არის ნახსენები, თუ რა ვადაა დაწესებული ამა თუ იმ აქციისთვის ან მანიფესტაციისთვის, შეგიძლია, შეიტანო განაცხადი რუსთაველზე წამოწოლის თაობაზე და მორჩა, თვეებისა და წლების განმავლობაში შენია. თუმცა კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოთ ან „ნაცი“, ან „გნაცი“, ან „შმაცი“... თუ ხართ „ქოცი“, ეგეთი რაღაცები არ შეგრჩებათ, თქვენ სამაგალითოდ დაისჯებით. ბებიაჩემი იმასაც ამბობდა ხოლმე, მედალს ორი მხარე აქვსო, ერთი ისეთი, მეორე კიდე ასეთიო, თუ დავუკვირდებით, „ქოცის“, ანუ „ქართული ოცნების“ სამაგალითო დასჯის საკითხში მართლაც არის სიმართლის მარცვალი. დავუშვათ, „ნაცის“ მსგავსად „ქოცმაც“ მოიწადინა რუსთაველზე კარვების გაშლა, წამოკოტრიალება, შაურმის ჭამა და მოფსმა, რა გამოდის, რით იქნება განსხვავებული „ნაცისგან“? არაფრით, ისიც აყროლდება!

ჰო, კინაღამ დამავიწყდა... იმ დღეს, 9 აპრილს, როცა „უცნობმა“ რიყეზე გრანდიოზული შეკრება გამართა, „ჭუტავიზიის“ („ტვ პირველის“) კოლექტივი აღშფოთდა, იმანო, გია გაჩეჩილაძემ, პარლამენტის წინ აქციას რომ მართავენ, იმათ სუნიანები უწოდა, ეს რა წესი და ეთიკააო?

გაიგონეთ?!

აყროლებულებმა იუკადრისეს, „გრეჩიხამ“ სუნიანები რატომ გვიწოდაო? კი ვართ სუნიანები, განა არ ვართ, მაგრამ ადამიანს რომ ნაკლზე უთითებ, ეგ ხომ არაეთიკურიაო? ეგ ხომ დაბულინგებააო? ბოლო-ბოლო, დაგუგლეთ, თუ ორი ღერი ინგლისური იცით, წაიკითხეთ, მსოფლიოს უარესებიც ახსოვსო, 1905 წელში დაბადებული პოზნერი რომ ჩამოიყვანეთ და ელარჯი აჭამეთ, ეგ როგოლა იყოვო?

აუუუუუ!

„ჭუტავიზიას“ რომ ჟურნალისტები ჰყავს, ეგეთებს ამ დუნიაზე ვერსად ნახავთ, უბრალოდ ეგეთები არ არსებობენ. არ ვიცი, სად ჩეკავენ, საიდან მოჰყავთ? ყველას, 17–18 წლის გოგობიჭებს შავნოდარას მიხვრა-მოხვრა, ჟესტიკულაცია და გადატვლარჭული მეტყველება აქვს. ამათ, ამ საცოდავებს ან ნოდარა უტარებს ლექციებს... უფრო სწორად, ინსტრუქტაჟს, ან კიდევ თვითონ ბაძავენ ნოდარას. მე უფრო მეორე ვერსიას ვემხრობი, „ჭუტავიზიაში“ მიღებული ყველა ჟურნალისტი ვალდებულია, მიჰბაძოს ინგა გრიგოლიას, ნოდარა მელაძეს, ავთო წერეთელს (კვეის ღეჭვასა და შესაბამისად, ტუჩების მოძრაობაში) და აქედან გამოდის ჰიბრიდი – „ჭუკი ჟურნალისტი“.

მოკლედ, ძალიან სამწუხაროა, რომ სადაც უმანკოთა სისხლი არაერთხელ დაიღვარა, ახლა შარდის სუნი ტრიალებს. იუნკერები გახსოვთ? გადმოცემით ხომ ვიცით? საქართველოში სიტყვა „იუნკერის“ გაგონებისას მაშინვე თვალწინ წარმოგვიდგებიან 18–20 წლის ახალგაზრდები, ქართული სამხედრო სკოლის მსმენელები, რომლებმაც თავდადებისა და გმირობის მაგალითები აჩვენეს 1921 წლის თებერვალში, როცა თბილისს იცავდნენ. არ გამოუვიდათ დედაქალაქის დაცვა, დამარცხდნენ, მაგრამ ეს მაინც იყო გმირობა. შემდეგ იყო 9 აპრილი, შემდეგ – სამოქალაქო ომი...




ისტორიული წყაროს თანახმად, სადაც ახლა პარლამენტის შენობაა, ადრე ტაძარი იყო. მართლმადიდებლური

საკათედრო ტაძარი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა წინააღმდეგ რუსეთის გამარჯვების აღსანიშნავად აღიმართა და შუა საუკუნეების რუსი წმინდანის, ალექსანდრე ნეველის სახელს ატარებდა. მშენებლობა 1871 წელს დაწყებულა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო მალევე შეჩერებულა. თუმცა მოგვიანებით განახლებულა და 1897 წელს უკვე მზა ტაძარი საზეიმოდ უკურთხებიათ. 1921 წლის თებერვალში ტაძრის ეზოში დაკრძალეს საქართველოს სამხედრო სკოლის სტუდენტები, ე.წ. იუნკერები. როცა საბჭოთა საქართველოს მთავრობის დადგენილებით თბილისის მთავრობის სასახლის აგება გადაწყდა, მის ადგილმდებარეობად ქალაქის მთავარი მაგისტრალი, ნეველის ტაძრის შენობის ადგილი შეირჩა და 1930 წლის 7 თებერვალს საბჭოთა მმართველობამ ტაძრის დემონტაჟი დაიწყო.

თბილისელთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ მრავალი უბედურებისა და სისხლისღვრის მიზეზი, რაც ამ ადგილას მომხდარა, შენობის საძირკველში მოქცეული ტაძრის ნაშთებია.

არ ვიცი, მე პირადად ვერაფერს ვიტყვი ამ თემაზე, შეიძლება მართლაც არსებობს რაღაც, რაც მოსვენებას არ აძლევს აქაურობას.

თუმცა!

მე ყველაფერი მაინც იმის გამოძახილი მგონია, რომ საქართველოს ძალიან ბევრი შინაური და გარეული მტერი ჰყავს.

დიახ, მტრები!

შინაურები და გარეულები, უფრო შინაურები მაშინ მძლავრობენ და იქ მძლავრობენ, სადაც კანონი არ კანონობს, სამართალი არ სამართლიანობს, ადათი არ ადათობს და წესი არ წესობს.

რასაც ვერ აკეთებს ხელისუფლება, უნდა გააკეთოს ხალხმა – საქართველოში უნდა დასრულდეს გადატრიალებებსა და დამხობებზე საუბარი, უნდა დამთავრდეს და დამთავრდება კიდევაც!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61



# არამზადა სერგი

ამ ქვეყანაში არიან ადამიანები, ვისი დანახვა საზოგადოებას არც ერთ პერიოდში, არც ერთ ეპოქაში არ სიამოვნებს, მაგრამ ისინი მაინც ტივტივებენ. ჩამოგითვალოთ? კი, ბატონო... მაგალითად, ასეთი თითით საჩვენებლები და სამარცხვინოთა დაფაზე გასაკრავები არიან: კაკო ბობოხიძე, გიგი უგულავა, გიგა ბოკერია, გუბაზ სანიკიძე, სერგი კაპანაძე და სხვები. სამწუხაროდ, ასეთები ძალიან ბევრნი არიან. მოდით, ამ ჯერზე მხოლოდ ერთი ამოვიღოთ მიზანში და შევაჩვენოთ სამოქალაქო პოზიციებიდან. ერთი კვირის წინათ „PosTV“-ის ჟურნალისტებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, არქივიდან ამოიღეს „გენიოს“ ლევან ბერძენიშვილის კომენტარი, სადაც ის ამბობს, ქართველები უნდა შევეგუოთ, აფხაზეთი ჩვენი



აღარასდროს იქნებაო. საინტერესო უფრო ის გახლავთ, რომ მან ეს კომენტარი მისცა ერთ-ერთ რუსულ ტელეარხს. როგორც ხედავთ, ბერძენიშვილის ნათქვამი იმაზე გაცილებით უარესია, ვიდრე საქართველოდან გაგდებულ ვლადიმერ პოზნერს წამოსცდენია ოდესმე. ჟურნალისტებმა ე.წ. ოპოზიციონრებს გამოგონილი, ანუ არარსებული სააგენტოდან დაურეკეს, ტელეარხის სახელწოდება დამალეს, ლევან ბერძენიშვილის კომენტარი წაუკითხეს და ბუნებრივია, ამათაც, ამ საცოდავებმაც აფრები აუშვეს – ლანძღეს და თათხეს ეს ჩვენი „გენიოსი“, ოღონდ არ იცოდნენ, რომ „გენიოსს“ ლანძღავდნენ. ყველაზე მაგარი ამ ამბავში ის გახლავთ, რომ თვითონ ბერძენიშვილმაც კაი გვარიანად მოიქავა ენა საკუთარი კომენტარის შეფასებისას. თავისი ნათქვამიც კი აღარ გაახსენდა, მისდგა თავის თავსა და, ისაო, მაგის მთქმელი, რასაკვირველია, რუსეთის აგენტიაო. პრინციპში, ჩვენ ვიცოდით, ბებერი ლევანა „დავერბოვკებული“ რომ იყო, მაგრამ ადამიანი საკუთარ თავზე რომ იტყვის, ეგრეაო, ის მაინც სხვაა.

ჰოდა, იმას ვამბობდი... სერგი კაპანაძისთვისაც დაურეკავთ ჟურნალისტებს კომენტარისთვის და კაი გვარიანად გააბეს კიდევაც, „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ასეთი „აღსარება“ დაწერა (სტილი დაცულია):

„PosTV“-მ დამირეკა. ახალი ჰობი აქვთ – განცხადებებს, რომელიც მათ პროპაგანდას აწყობს, აწებებენ რუსებს და მერე, ვითომ სხვა გამოცემის სახელით გეკითხებიან, ამაზე რას ფიქრობო. უკრიანაში რუსეთი რასაც აპირებს, მაგაზე რას ფიქრობთო და თან წამიკითხეს ვითომ კოსაჩოვის გამონათქვამი, რეალურად კი 2008 წლის ევროსაბჭოს რეზოლუციიდან დამახინჯებული ამონარიდი, სადაც საუბარია, რომ ქართულმა მხარემ დაბომბა ცხინვალი და რომ გამოიყენა კასეტური ბომბები.

ვუპასუხე, რომ არც არავინ უარყოფს, რომ ქართულმა მხარემ ცხინვალი დაბომბა და კასეტური ბომბები გამოიყენა თქო, უბრალოდ ეგ არ იყო ომის დასაწყისი მეთქი. აშკარად არ მოეწონათ. ველოდები დღეს საღამოს რას გაუშვებენ

მოკლედ, 810088-დან რომ დაგირეკავენ, იცოდეთ, რომ, რაღაც, ვითომ, თავისი ჭკუით, მაჩვს გიგებენ“.

ჩვენში ეგეთზე იტყვიან ხოლმე, თავი მარტო ბალიშზე დასადებად აბიაო.

თუმცა! აშკარადა ჩანს, კვლევა-ძიება აღარც კი არის საჭირო, ამას თავი ბალიშზე დასადებადაც არ აბია... რავი, ჩემი აზრით, მხოლოდ წამოსარტყმელად თუ გამოდგება!



დიახ, სადაც დაინახავთ, უნდა წამოარტყათ და გაიაროთ, ეს თქვენი ვალია!

არა, ეს დებილი განა სიმართლეს არ ამბობს?

რა თქმა უნდა, ამბობს და იმასაც ამტკიცებს, რუსეთის დანომრილი აგენტი გახლავართო. თანაც მარტო მე არაო, ჩვენ ყველანი რუსეთის აგენტები ვართო... ამიტომაც ვუწოდეთ კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი და ვაჩუქეთ დედა რუსეთსო... ამიტომაც ავაოხრებინეთ და ჩავაბარეთ 150-მდე სოფელიო... შემდეგ რუსებს გადავეცით 70-ზე მეტი სტრატეგიული ობიექტიო.

ისე, საინტერესოა, ავტობუსებით ბუშტები, შუშხუნები და დროშები რომ მიჰქონდათ ცხინვალში, ამაზე რას იტყვის ეს არამზადა, რა ჯანდაბად გვინდოდაო? ბუშტები ცაში უნდა გაგვეშვაო? ფოიერვერკებიცო? დიდი ზეიმი უნდა გაგვემართა ცხინვალის ცენტრშიო?

თუმცა!

არ გამოვიდაო?

ხალხო, ნეტავ ეხლა მაინც თუ ხვდებით (და ვიცი, რომ ხვდებით), როგორ უვიცთა და რანაირ დუპლეტთა ხელში ვიყავით?!

ესე იგი, ტიპი ამტკიცებს, ქართულმა მხარემ ცხინვალში კასეტური ბომბები ჩამოყარაო. რაც თქვენ წაიკითხეთ, სერგი კაპანაძის "ფეისბუქგვერდზე" საკუთარი თვალით ვნახე და შემდეგ საკუთარი ხელით დავაკოპირე. ამას რატომ ვამბობ ხაზგასმით, ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

შემდეგ, დაინახა რა სერგო თუ სერგი კაპანაძემ, რაღაც ისე ვერ გამოუვიდა და უცებ გაიშიფრა, სიტუაციის შელამაზება სცადა. თუმცა იმაზე უარესი წამოაყრანტალა, ვიდრე მანამდე ჰქონდა ნაყრანტალები. ა, ნახეთ, ესეც მისი კოტიტა თითებით გახლავთ დაწერილი:

„საქართველოს მძინარე ცხინვალი კი არ დაუბომბია, თქვე შტერებო, სამხედრო წერტილები დაბომბა ცხინვალში, ანუ, ხო, ცხინვალი დაბომბა. ოღონდ მშვიდობიანი მოსახლეობა არა. მაგას თქვენი პრეზიდენტი იძახის. კიდევ, თქვენი ბიძინა უფროსი. და რუსები. და კასეტური ბომბები კიდევ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. კერძოდ, M-85 ბომბები და ისიც სამხედრო ობიექტების წინაალმდეგ. ოსლოს კონვენციას, რომელიც კრძალავს ასეთი ბომბების გამოყენებას, მაშინ შეერთებული არ ვიყავით. მერე შევუერთდით.

ახლა აქედან თუ რომელიმე პროპაგანდონი დასკვნას გააკეთებს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, გააკეთოს. ოღონდ აქედან ეგ არ გამომდინარეობს. არც ევროსაბჭოს რეზოლუცია 1633-დან. იქ მეხუთე პარაგრაფს რომ კითხულობთ მარტო, მეოთხეც და მეექვსეც წაიკითხეთ, მერე მთელ რეზოლუციას გადაავლეთ თვალი და თუ მართლა ქვეყნის მტრები არ ხართ, მიხვდებით როგორი მაგარი რეზოლუციაა.

პოსტივის არასოდეს სერიოზულად არ ვპასუხობ. ვცდილობ, ყოველ შემთხვევაში. დღესაც ასე იყო. ამიტომ, იმედი, პოსტივი და სხვა სამთავრობო რუპორები, ნუ შემეხმიანებით. შეგიძლიათ პირდაპირ ამ პოსტის თქვენეული დამახინჯებული ინტერპრეტაციით იხელმძღვანელოთ.

დებილ მდინარაძეს რაღაც დაუწერია, საქართველო არ აღიარებსო ომის დაწყებასო და სერგი აღიარებსო. ნუ, აი, არც კი ვიცი რა ვუპასუხო. უბრალოდ, დებილია და მორჩა“.

ბიჯო, ბიჯოოო... ეს იმაზე დებილი ყოფილა, ვიდრე მეგონა, ბიჯოოო!

როგორც „ქართული ოცნების“ დეპუტატი დიმიტრი სამხარაძე ამბობს, მოღალატე სერიოჟა ცრუობს:

„ეს არის ტყუილი! საქართველოს კასეტური ბომბებით არ დაუბომბავს ცხინვალი! ის იტყუება! გონივრული ეჭვი მაქვს, რომ რუსეთის მხარემ „დაავერბოვკა“ სერიოჟა, მხოლოდ ოკუპანტს აწყობს, რასაც ეს დეგენერატი წერს!

ნუთუ სერიოჟას ჰგონია, რომ ქვეყნის პატრიოტები მხოლოდ საჯარო მოხელეები არიან? დანარჩენი საქართველოს მოქალაქეებს მოეწონათ ამ დაქლიავებულის სიტყვების რახარუხი? მხოლოდ საჯარო მოხელეები მლანძღავენ იმისათვის, რომ საქართველო რუსეთთან მტყუანი გამომყავსო. სერიოჟ, ახლა ამოიკეცე და რუსებს გაერჭე მთაწმინდიდან გამოქანებული“!

ვერაფერს ვიტყვი, შეიძლება დიმიტრი სამხარაძე ძალიან მკაცრია, მაგრამ ეს ჭკუით უბედური ასეთ პასუხს ნამდვილად იმსახურებს.

ვინც კი სერგო კაპანაძის „გადახრის“ თაობაზე შეიტყო, ყველამ დაადასტურა, რომ ეს უბედური რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს, მხოლოდ „ნაციონალები“ და ე.წ. „ევროპულსაქართველოელი“ ტიპები დუმან, როგორც დუმანი, რადგან იმათაც კრემლიდან აქვთ აღებული თითო თუმანი. ეს მახვილგონივრულად გალექსილი ამბავი ჩემი არ გეგონოთ, თავის დროზე ვახუშტი კოტეტიშვილმა და ალექსი ჭინჭარაულმა წაუკაფიავეს ერთმანეთს ასე და მე კიდევ გადმოვაკეთე. დიახ, ესენი, ეს მოღალატეები დუმან, როცა ნებით თუ უნებლიედ თვითონვე გაიშიფრებიან ხოლმე... სასაცილოა პირდაპირ, მთელი მათი „მოღვაწეობა“ არის მავნებლური, რუსული, მტრული, მოღალატური და ამ დროს ესენი სხვებს ეძახიან რუსეთის აგენტებს!

•

სერგომ მომდევნო დღეებშიც სცადა, საკუთარი დუპლეტობა „გაეპრავებინა“, მაგრამ უარეს დღეში ჩავარდა. ამ თემაზე ტელე „იმედმაც“ მოამზადა ვრცელი სიუჟეტი და იქაც დადასტურდა, რომ ტიპი არის რუსეთის აგენტი. ჰოდა, ამან თავისთან „დაიბარა“ სიუჟეტის ავტორი გოგონა... მიედო, მოედო, მე ასე კი არა, ისე ვთქვიო, ქართულმა მხარემ კი დაბომბა ცხინვალი, მაგრამ ეს არ იყო ომის დასაწყისიო, ჩვენ დავბომბეთ სამხედრო ობიექტებიო, განა მოსახლეობაო? თუნდაც მოსახლეობაც ყოფილიყო, რა პრობლემააო? არა, კაცო, კასეტური ჭურვები კი გამოვიყენეთ, მაგრამ მაშინ კონვენციაზე ხელი არ გვქონდა მოწერილიო. ჟურნალისტს იქითაც წაედავა, მე სად ვთქვი, რომ მძინარე ცხინვალი დავბომბეთო? ჰო, აბა, სად ვთქვიო? იქნებ სულაც არავის ეძინა, თქვენ რა იცითო?

მე მინახავს მოღალატეები, რომლებიც თანმიმდევრულად და ხშირად ნიჭიერულადაც კი ლაპარაკობენ ხოლმე, ამას რა დაემართა, რატომ არის ამოვარდნილი გრაფიკიდან? აქ ორი ვარიანტია: პირველი – რუსეთის დავალებას დაბოლილ მდგომარეობაში ასრულებს; მეორე – რუსეთიდან ასეთ დავალებას არ ელოდა და დაბნეულია, ეს შერჩვენებული... თითით საჩვენებელი არამზადა!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61



# ორმაგი სტანდარტი ანუ წინ წყალი, უკან მეწყერი

„პოლიტიკური პარტიების მიერ კომპრომისზე უარის თქმის შემდეგ საქართველოს ლიდერები არ უნდა ელოდონ ევროკავშირისგან საქმის ჩვეულებრივ გაგრძელებას. კერძოდ, ევროპარლამენტის მხრიდან იქნება მოწოდება, რომ მომხდარს შედეგები მოჰყვეს ევროკავშირის ფინანსური დახმარების თვალსაზრისით. მათ შორის შემდგომში თანხების გამოყოფის შეჩერების, ასევე პირობითობის გაზრდის მხრივ ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებასთან და მხარდაჭერის საბიუჯეტო პროგრამებთან დაკავშირებით“.

ასეთი განცხადება გამოაქვეყნა კრისტიან დანიელსონის უშედეგო მედიაციით განაწყენებულმა თუ გაბრაზებულმა შვიდმა ევროპარლამენტარმა, რომლებიც ბატონი კარლ ჰარცელის თქმით, საკმაოდ წონიანი და გავლენიანი ფიგურები არიან ევროპარლამენტში და მათი მოსაზრებების უყურადღებოდ დატოვება საქართველოსთვის სახარბიელო და მომგებიანი არ იქნება.

თუ ვინმე დაზარალდება ევროკავშირის მიერ განხორციელებული ამ მკაცრი ღონისძიებებით, ცხადია, პირველ რიგში დაზარალდება ისედაც დაზარალებული და უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ქართველი ხალხი, რომელსაც არანაირი ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ ეს უაზროდ და უმიზეზოდ აბოქირებული ოპოზიციური პარტიები ბოიკოტს აცხადებენ და პარლამენტში არ შედიან.

სამაგიეროდ, სანქციების დაწესებით და სხვა სადამსჯელო ბერკეტის ამოქმედებით იხეირებს ოპოზიცია, კერძოდ, „ნაცმოძრაობა“, რომელსაც ღიად აქვს გაცხადებული, რომ მის პოლიტიკურ ინტერესებში შედის ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონი შეიქმნას, რომ მოსახლეობს მასობრივად გამოვიდეს ქუჩაში და ხელისუფლების შეცვლა მოითხოვოს.

**თუ ევროკავშირი საქართველოს წინააღმდეგ სანქციებს დააწესებს, ამით დაისჯება და იზარალებს ის, ვინც უდანაშაულოა, მაგრამ მოიგებს ის, ვინც მთავარი დამნაშავეა ამ ხელოვნური კრიზისის შექმნაში.**

აქვე იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ დასავლეთმა მკაფიოდ და ხაზგასმულად განაცხადა, რომ შექმნილი სიტუაცია ერთადერთ სახელმწიფოს, რუსეთს, აძლევს ხელს, გამოდის, რომ ეს შვიდი ღრმად პატივცემული ევროპარლამენტარი, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ ძალებს ეხმარება და იმ ძალებს უმაგრებს ზურგს, ვინც საქართველოში რუსეთისთვის მომგებიან ამინდს ქმნის, რაც, პირდაპირ თუ ირიბად, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

რუსულ წისქვილს კიდევ თქვენგან დამატებით წყლის დასხმა რაში სჭირდება, ძვირფასო ევროპარლამენტარებო, ვერ ხედავთ, ისედაც ნახევარი მსოფლიო ჰყავს დოლაბებში მოქცეული და თავის ნებაზე ფქვავს.

იმის მტკიცებას ნამდვილად არ ვაპირებ, თითქოს ეს შვიდი ევროპარლამენტარი რაიმე სახის ფარულ კავშირში იმყოფებოდეს რუსეთთან, თუმცა მსგავსი ტიპის ბოლომდე გაუაზრებელი განცხადებები არასასიამოვნო ეჭვებს რომ აჩენს, ესეც ფაქტია.

ოცდაათი წელია საქართველო ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის, თუმცა ეს დაჟინებული და მტკიცე სწრაფვა ჩვენს ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდა და არავინ იცის, კიდევ რა საფასურის გადახდა მოუწევს.

უმუშევრობა, სიღარიბე, ქვეყნიდან გაქცეული მილიონობით ადამიანი, ოკუპირებული ტერიტორიები, საგარეო ვალები, არამყარი ეკონომიკა, არასტაბილურობა, უიმედობა და უპერსპექტივობის შეგრძნება — აი, ეს მიიღო საქართველომ დასავლური ორიენტაციის შედეგად და ამ დროს სანქციებზე საუბარი და იმაზე მინიშნება, რომ შეიძლება ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები გადაიხედოს, დიდი უსამართლობაა.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები მართლაც არის გადასახედი, ოღონდ არა საქართველოს, არამედ ევროკავშირის მხრიდან.

პირველყოვლისა, ალბათ, ის უნდა გაირკვეს, რა სახის დემოკრატიაა ის, რასაც ევროკავშირი სავალდებულო ნორმად სთავაზობს ქართულ მხარეს.

ამ დემოკრატიის მიხედვით, თურმე პოლიტპატიმრად ითვლება პარლამენტში შეჭრის მცდელობის ორგანიზატორი ნიკანორ მელია, რომელმაც მოგვიანებით დემონსტრაციულად მოისროლა ელექტროსამაჯური და საჯაროდ განაცხადა: არ გადავიხდი! ვერ დამიჭერენ!

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომელიმე ევროპელ მელიას რომელიმე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში მსგავსი რამ გაეკეთებინა, რა ზომებს მიიღებდა ეს სახელმწიფო კანონისა და სახელმწიფოს აბუჩად ამგდები ევროპელი მელიას წინააღმდეგ?



ის, რაც ევროპელ მელიას არ ეპატიება, რატომ უნდა ეპატიოს ქართველ მელიას და უფრო მეტიც, ამ დამნაშავე ქართველ მელიას რატომ უნდა მიენიჭოს პოლიტპატიმრის სტატუსი?

ხომ არ შეიძლება, დემოკრატია იმ ბორკილად იქცეს, რომელიც ქვეყანაში ელემენტარული წესრიგის დამყარების საშუალებას არ გვაძლევს?

მეექვსე თვეა, ევროპარლამენტის ჩართულობით მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, ხელისუფლებასა და „ნაცმოძრაობას“ შორის, რომლის არაფორმალური ლიდერი და ხელმძღვანელი, უკრაინის მოქალაქე, სისხლის სამართლის დამნაშავე, მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილია.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვინმეს უთქვამს ევროპარლამენტიდან, რა უნდა ამ კაცს პოლიტიკაში და რა უფლებებით ერევა პოლიტიკურ პროცესებში — ის ხომ ციხეში უნდა იჯდეს და სასჯელს უნდა იხდიდესო.

მოლაპარაკებებში მონაწილე ფასილიტატორი ელჩები, ევროპარლამენტის მაღალჩინოსანი მედიატორები მოლაპარაკების მაგიდას რომ უსხედან, ნუთუ ვერ აცნობიერებენ, რომ ეს გაუთავებელი დებატები და მოლაპარაკებები, სინამდვილეში, მსჯავრდებულ სააკაშვილთან აქვთ და ის იღებს გადაწყვეტილებებს და არა უდუმაშვილი, არა სამადაშვილი თუ ბოკუჩავა.

„ნაცმოძრაობის“ მისამართით ხშირად ისმის ზოგიერთი ევროპარლამენტარის მხრიდან, რომ ეს არის მთავარი ოპოზიციური ძალა, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

მთავარი ოპოზიციური ძალა კი არა, „ნაცმოძრაობა“ მთავარი კრიმინალური ძალაა, რომელსაც მისი „გლავარის“, სააკაშვილის მეთაურობით, ხელისუფლებაში ყოფნის დროს უამრავი უმძიმესი დანაშაული აქვს ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე, რომლისთვისაც არც ევროპარლამენტს, არც აშშ-ს, არც საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის სხვა წარმომადგენლებს სათანადო შეფასება არ მიუციათ, რის გამოც, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული „ნაცმოძრაობა“ ისევ ხელისუფლებაში აპირებს მობრუნებას.

ეს ყველაფერი უკიდურესად შეურაცხმყოფელია ქართველი ხალხისთვის, რომელსაც საკუთარ ზურგზე აქვს ნაწნევი „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის მთელი სისასტიკე.

იმის გამო, რომ ოკუპანტ სახელმწიფოსთან აშკარად საიდუმლო კავშირებით შეკრული „ნაცმოძრაობა“ და მისი ბელადი აბუჩად იგდებენ დემოკრატიულ ღირებულებებს, ევროპარლამენტს, მთელ დასავლეთს, საქართველოს და ქართველ ხალხს ემუქრებით სანქციებით?

სადაური სამართალია ეს?

„წინ წყალი, უკან მეწყერი“ ჰქვია იმ მდგომარეობას, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება.

მას უკან დასახევი გზა არ აქვს — უკან რუსეთია, წინ — ევროკავშირი, რომლის კარებთან წლებია ვდგავართ და შიგ შესვლის უფლებას არ გვაძლევენ.

**თუ ასე გაგრძელდება, დაიღუპება ეს უძველესი კულტურის უნიკალური ქვეყანა, თავისი უნიჭიერესი და ულამაზესი ხალხით და თუ ეს მოხდება, მის დაღუპვაში თქვენც გექნებათ თქვენი წილი, პატივცემულო ევროპარლამენტარებო!**

ამ წერილსაც იმ სიტყვებით დავამთავრებ, რომლებიც „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში ვთქვი: „ბოლომდე რომ შეგვჭამს მტერი, მერე, ალბათ, საქართველოს ფოტოს დაასვენებთ თქვენს მუზეუმებში წარწერით — ნემტი ქვეყნისა, რომელიც თავისუფლებისთვის ბრძოლას და ჩვენთან მეგობრობას შეეწირა“.

**ვახტანგ ხარჩილავა**

**მუხრან მაჭავარიანი-**

## საბა

ორბელიანი
ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და...
მეთხუთმეტე კაცად შევიდა...
ცამეტი ლუდოვიკო
კედლიდან იჭურება;
ციცას ეფერება
ლუი მეთოთხმეტე;
ხალხს ხმა დაუკარგა
მეფის სიყრუემა,
მეფეს ხალხზე უფრო
კატა ეცოდება.
ხელმწიფემ
საბას ნაუბარი
მოისმინა რა,
– ოჰ...
ოჰ...
ოჰ...
ოჰო!... –
თქვა და
თითქოს კიდეც ინანა.
მაგრამ ამითი
არაფერი
გამოვიდა რა
(საბას ხმა
როდი წააგავდა
კნავილს კატისას);
რაც შეიტანა,
ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ
ვერსალიდან
ელჩმან ქართლისამ.
– წვიმა არ არი!
საბას კაბა
დაუსველა რამ?!
– თოვლი არ არი!
საბას თავი
გაუთეთრა რამ?!
– ყინვა არ არი!
სულხან-საბას
აკანკალებს რა?!
– რამ დაასველა?!
რამ დათეთრა?!
რა აკანკალებს?!
საქართველოა
მისთვის წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც!..
...მზე ეთხოვება
ალბათ ახლა
ტურფა ტანძიას...
ეს სიცხადეა,
სულხან-საბავ,
თუ ფანტაზია?!
დედის ცრემლები
ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს,
ალვის ჩეროში
სტირის დედა
შვილს მოტაცებულს,
სტამბოლში
შვილი დედას სტირის, –
ჰყიდიან ყმაწვილს
(სჭვრეტენ ჯვარის წინ
წმიდა ნინოს –
მუხლზე დაცემულს).
– რამდენს აფასებ
მაგ პატარას? –
ჰკითხა სპარსულად
საბამ სპარსელს და
მოუთმენლად ელოდა პასუხს.
– უი, ქართველი მეგონა და
სპარსი ყოფილა, –
წარმოსთქვა ბაღლმა,
ყური მოჰკრა რა
საბას სპარსულს.
– არა, პატარავ,
ქართველი ვარ,
ქართველი,
გესმის?
– უი, დედასთან წამიყვანე,
წამიყვან, ძია?.. –
საბას ცრემლები მოეძალა,
ატირდა კაცი, –
თავის ბაღლობა გაახსენდა,
თავის ტანძია.
ვით ეს ყმაწვილი –
საქართველოც
ასე მცირეა,
საქართველოსაც,
ვით ამ ყმაწვილს,
ასე ჰყიდიან;
საფრანგეთს ვთხოვოთ:
გვიშველისო,
– სასაცილოა!
შენი ვახტანგი
ლუდოვიკოს
ფეხზე ჰკიდია.
ასე ფიქრობდა სულხან-საბა
ხელჯოხიანი;
მხარდამხარ საბას
ის პაწია ბიჭი მოსდევდა...
– მოგწყინდა განა უნაყოფოდ,
ელჩო, ყიალი?!
– გულს ნუ გაიტეხ!
– მუხა კვლავაც შეიმოსება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დაინახოს ყველამ, რომ ეს ჩვენ ვართ, საქართველო, ეს ჩვენ ვართ სიყვარული“

9 აპრილმა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღემ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა მიიღო; იგი საქართველოსა და ქართველი ხალხის მარადისობის დღედ გამოცხადდა.

საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა პატივსაცემად საქართველოს მოსახლეობა კიდევ ერთხელ შეიკრიბა.

ვინც შეკრებას ესწრებოდა, ყველა დამეთანხმება: ეს იყო გულწრფელი პროტესტი იმის გამო, რაც ჩვენს გარშემო ხდება უკვე წლების განმავლობაში და რაც გამოწვეულია გარკვეული ჯგუფის ვიწრო პარტიული თუ პირადული ინტერესებისგან.

აქციას მდუმარე ხასიათი ჰქონდა. არ იყვნენ სიტყვით გამომსვლელები, არსად ჩანდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. იყვნენ ჩვეულებრივი, უბრალო მოქალაქეები, ასაკოვნები და სრულიად ახალგაზრდებიც.

გვინდა, ყველამ გაიგოს, რომ სხვა საქართველოც არსებობს, ჩვენ მშვიდობა და მშვიდი ცხოვრება გვინდა, — ამბობდნენ აქციის მონაწილეები.

მას შემდეგ, რაც ქუთაისიდან, კასპიდან, გორიდან და სხვა რეგიონებიდან ჩამოსულები შემოუერთდნენ შეკრებას, გია გაჩეჩილაძემ მდუმარება დაარღვია, ყველას მადლობა გადაუხადა მოსვლისთვის და ხალხს მიმართა:

**გია გაჩეჩილაძე, „უცნობი“:** — „აი, საქართველო, ვინც აქ დგას და ყველაფერს ითმენს.

აი, საქართველო, რომელსაც უყვარს პატრიარქი და მას მიჰყვება.

აი, საქართველო, რომელსაც უყვარს, რომელსაც ცრემლი მოსდის იმ ყველაფერზე, რაც ხდება.

აი, საქართველო ლუკა რაზიკაშვილის, ილია ჭავჭავაძის. აი, საქართველო იაკობ გოგებაშვილის, აი, საქართველო სტუმარ-მასპინძლის, აი, იასი, „ვეფხისტყაოსნის“, აი, ეს არის საქართველო დიმიტრი უზნაძის, ნიკო მუსხელიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, სერგო ზაქარიაძის, სესილია თაყაიშვილის, იპოლიტე ხვიჩიას, დიმიტრი ყიფიანის, სოლომონ დოდაშვილის, სანდრო ახმეტელის, ტიციან ტაბიძის, მირზა გელოვანის, რეზო თაბუკაშვილის, სხვების და სხვების.

აი, ეს არის საქართველო, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ მოკვდება, რამდენიც არ უნდა აწამონ, რამდენიც არ უნდა ჩეხონ, რამდენიც არ უნდა ესროლონ, და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ის უფალია, და ვერ ხვდებიან ეს მანქურთები, რომ უფალს ვერ მოკლავ. ის ყოველთვის მკვდრეთით აღდგება და დაბადებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც ქართულად ილაპარაკებენ, ამ ადგილას იცხოვრებენ და ღმერთი ეყვარებათ!

აი, დაინახოს ყველამ, რომ ეს ჩვენ ვართ, საქართველო, ეს ჩვენ ვართ სიყვარული, ეს ჩვენ ვართ, მოთმინება და ეს საქართველოა „მრავალჟამიერის“, „ჩაკრულოს“, „შენ ხარ ვენახის“ და ესაა მარადიული. ეს საქართველოა მარადიული.

. თქვენ ხედავთ, რომ შეტევა ხორციელდება უწმინდესზე და ყველაფერ წმინდაზე, რაც გაგვაჩნია. თქვენ ხედავთ, რომ შეტევა ხორციელდება ოჯახზე, სტუმარზე, ისტორიაზე, ტრადიციაზე, ავტორიტეტზე, ეკლესიაზე და ყველაფერზე.

სწორედ უწმინდესში ერთიანდება ყველაფერი ეს. ამიტომაც ასე ძლიერად ებრძვიან მას. ამიტომ აქედან, თბილისისა და საქართველოს გულიდან მინდა მივმართო უწმინდესს.

**ვერ მიგიხვდით ვერაფერს,**
**ვერ მიგიხვდით, ეტყობა,**
**ყველაფრისთვის მადლობა,**
**თქვენო უწმინდესობავ!**

**მანქურთების საქციელს,**
**ბევრს განიცდით, ეტყობა,**
**ბოდიში, მათ მაგივრად,**
**თქვენო უწმინდესობავ.**






ვეღარ ვსწავლობთ სიყვარულს,
აგრესია გვეტყობა,
ვეცდებით, რომ ვისწავლოთ,
თქვენო უწმინდესობავ.

43 წელიწადია, ჩვენი პატრიარქი მუხლებზე დგას და ლოცულობს. 43 წელიწადია ლოცულობს ჩვენზე, ჩვენს ქვეყანაზე, რომელსაც მანქურთები გაშმაგებით ებრძვიან.

მინდა მივმართო მანქურთებს: მორჩა, დღეს არის თქვენი დასასრულის დასაწყისი!“

მერე „უცნობმა“ რიყეზე აღმართულ ბარელიეფზე დააწერა: „ღმერთი სიყვარულია!“

შემდეგ აქცია საპატრიარქოსკენ გაემართა.

გზად მოქალაქეებს გავესაუბრე.

**ლილი ფრუიძე, აქციის მონაწილე:** „პრეტენზია მაქვს ხელისუფლების მიმართ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს ცრუ ოპოზიცია, დამნაშავეთა გაერთიანება, სწორედ იმიტომ ბედავს ამდენს, რომ ხელისუფლებამ არ მიიღო თავის დროზე ზომები, რომ ყველა დამნაშავე დასჯილიყო. ახლა თავს გვახვევენ, თავიანთ ავადმყოფურ აზრებს, რაც უკვე მომაბეზრებელია. აუტანელია მათი ყურება და მოსმენა.

**შოთა გლურჯიძე, მხატვარი:** „აქციაზე ვარ იმის გასაპროტესტებლად, რაც ხდება დღეს ქვეყანაში. აქვე მინდა დავუდასტურო პატივისცემა და სიყვარული ჩვენს პატრიარქს. მინდა მადლობა გამოვხატო მის მიმართ. ეს მხცოვანი ადამიანი რომ არა, ჩვენი დღევანდელი ყოფა, ალბათ, უფრო უარესი იქნებოდა. ის არის ბურჯი და გადაულახავი ბარიერი, რომელსაც მტრები ვერაფერს აკლებენ. მისი ლოცვით და ჩვენი, ქართველი ხალხის მხარდაჭერით, საქართველო არსებობს და კვლავაც იარსებებს. გახარებული და გაოგნებული ვარ დღევანდელი ერთობით და იმით, რომ ამდენი ხალხი გამოვიდა, მოვიდნენ ჩვენი პატრიარქის პატივსაცემად, საქართველოს ერთიანობისთვის და მარადიულობისთვის.

**ია მეტრეველი, ბუტა რობაქიძის დედა:** „ძალიან მიხარია, რომ დღეს ამდენი ხალხი მოვიდა. ეს არის პროტესტი იმის გამო, რა ვითარებაცაა დღეს ჩვენს ქვეყანაში. ვგულისხმობ „ნაციონალური მოძრაობის“ ქმედებებს. ისინი არ აცლიან ქვეყანას განვითარებას. გარდა იმ სისხლიანი 9 წლისა, რაც გამოგვატარა „ნაცმოძრაობის“ საშინელმა რეჟიმმა, დღემდე აგრძელებენ ქვეყნის არევას, დესტრუქციას.

მოვედით იმიტომ, რომ დაინახონ მათ — ჩვენ ვართ საქართველო და არა ისინი. მათ არ აქვთ და არც მივცემთ უფლებას, რომ ქვეყანა მოსპონ.

გაუსაძლისია, მართლაც, ყველაფერი.

დავიღალეთ.

ხალხს ნორმალური ცხოვრება ენატრება.

ჩვენ არ დავეცემით, იმის მიუხედავად, რომ „ნაცმოძრაობისნაირი“ მტერი საქართველოს არასდროს ჰყოლია.

ისინი ვერასდროს ვეღარ უნდა დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და ჩვენი ძალისხმევით, ისინი ვეღარასდროს ვეღარ დაბრუნდებიან.

„ნაცმოძრაობაში“ ნამდვილი, ძირ-ფესვიანად ქართველები რომ იყვნენ, რასაც აკეთებენ, იმას არ გააკეთებდნენ.

ნამდვილი ქართველები და ერის შვილები დგანან აქ, დღეს.

1989 წლის იმ ტრაგიკულ 9 აპრილს, სადაც მეც ვიყავი პირადად, დაღუპულების ხსოვნა არის დღევანდელი დღის სიმბოლო. უმძიმესი დღე არის ეს დღე საქართველოს ისტორიისთვის და ჩვენ დღეს სიმბოლურად მივაგებთ პატივს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას. აქ ვდგავართ იმის გამო, რომ, ამჯერად, გვაწამებს „შინაური“ მტერი — „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც უნდა დასრულდეს!

**ოთო სტეფანიშვილი, ჟურნალისტი:** „მოვედი სოლიდარობის გამოსახატავად იმ ხალხის მიმართ, რომლებიც უკვე წლებია აპროტესტებენ „ნაცმოძრაობის“ უსამართლობებს. 9 აპრილი სიმბოლური დღეა. მივესალმები „უცნობის“ ინიციატივას ამ დღის მდუმარედ აღნიშვნისთვის და საქართველოს მარადიულობის დღის დაწესებისთვის. ჩვენი გმირები არ უნდა დავივიწყოთ.

**ნუნუკა ჯულელი, აქციის მონაწილე:** „9 აპრილის გმირების სახელები და გვარები ჩამოთვალა აქ ახლა „უცნობმა“. იმ ადამიანებმა საქართველოს თავისუფლებას შესწირეს სიცოცხლე. ასეთი ადამიანები ერმა არ უნდა დაივიწყოს.

დღეს შეკრებაზე მოვედი იმი-

ტომ, რომ საქართველოში არეულობის და რევოლუციის წინააღმდეგი ვარ. მე, ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, საქართველოში მცხოვრები, მოვედი სახელმწიფოებრიობის დასაცავად, რადგან ოპოზიციის ქმედებები არის ანტისახელმწიფოებრივი. ოპოზიციის წარმომადგენლები ლაპარაკობენ ხალხის სახელით, რაც არ არის სწორი. ხალხი აქ არის დღეს. ხალხის ძირითად ნაწილს სურს ევოლუციური განვითარება და არა რევოლუცია.

**ბექა მხიარულაშვილი, ბლოგერი, სამოქალაქო აქტივისტი:** „მოვედი იმის გამო, რომ მსურს, ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, სამართლიანობა და მშვიდობა. ქვეყანაში შერჩევითი სამართალია — 18 წელიწადია პოლიტდევნილი ლევან მამალაძის მიმართ არ აღსდგა სამართლიანობა. ის რეპრესიები, რაც გაატარა მის მიმართ სააკაშვილის რეჟიმმა, არ იქნა შეფასებული. ლევან მამალაძე სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტდევნილია და უკვე „ქართული ოცნების“ პოლიტდევნილად ითვლება. რადგან არავინ არ მოახდინა რეაგირება მის საქმეზე.



9 აპრილი სიმბოლური დღეა საქართველოს დამოუკიდებლობის. ამ დღის დადგომისთვის იბრძოდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც დაიღუპნენ 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველზე. ჩვენც ვიბრძოლებთ საქართველოს მარადიულობისთვის“.

**მამა თომა, ქუთაისი:** „სამართლიანობა უნდა აღდგეს. ერში ერთობა უნდა იყოს. გაყოფილი და გახლეჩილი ერი და ქვეყანა ადვილი დასამარცხებელია.

ჩამოვედით, რათა პატრიარქს კიდევ ერთხელ ვუთხრათ მადლობა იმ მოღვაწეობისთვის, რაც განახორციელა ოთხი ათეული წლის განმავლობაში და გამოვხატოთ მისდამი პატივისცემა. ჩვენ გვიყვარს ჩვენი პატრიარქი. მისთვის და საქართველოსთვის მთელი ქუთაისი ფეხზე დავდგებით.

დღეს 9 აპრილია. იმ საშინელი დღის კიდევ ერთხელ აღნიშვნა და დაღუპულთათვის პატივის მიგება ჩვენი მოვალეობაა.

საქართველოს მარადიულობას ვუჭერთ მხარს. საქართველო და პატრიარქი ერთი და იგივეა. ჩვენი უწმინდესი ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოა“.

**ნანა შონია, მსახიობი:** ცრემლებს ძლივს ვიკავებ. აი, ეს არის საქართველო, ეს ხალხი, პატიოსანი, ქვეყნის ერთგული და უანგარო. გაწამდა ხალხი, დაგვტანჯეს. როდის უნდა დაისვენოს ქვეყანამ, ერმა, ამ ხალხმა, თითოეულმა ჩვენგანმა. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული ნაცების უსამართლო ბოგინს.

ყველას პატრიარქის იმედი გვაქვს. მისდამი სიყვარულის გამოსახატავადაც ვდგავართ აქ.

მადლობა გია გაჩეჩილაძეს, რომ გამოიჩინა ეს ინიციატივა. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება ჩვენს ქვეყანაში“.

ხალხში აქა-იქ ცრემლმორეული ქალები და წარმოიდგინეთ, ატირებული მამაკაცებიც შევნიშნე. შეიძლება ეს ცრემლები საკუთარი შვილებისგან გაჭირვებაში ჩავარდნილი სამშობლოსადმი თანაგრძნობაც ყოფილიყო, ჩვენი გარდაცვლილი გმირების მოგონების სამსხვერპლო ცრემლიც და ნერვებდაწყვეტილი ადამიანების ემოციაც.

ერთ მათგანს მივუახლოვდი.

**ლიანა ბუხულეიშვილი, აქციის მონაწილე:** „ძალიან დიდი მადლობა, რომ ამ აქციაზე თქვენც მოხვედით.

1956 წლიდან ვდგავარ იქ, სადაც ჩემს ქვეყანას სჭირდება. 90-იანი წლები, ახლა კიდევ 9 წელიწადი, რა გამოვიარეთ, ჩვენმა ხალხმა და ღმერთმა იცის.

80 წლის ვარ და სანამ შემეძლება ფეხზე დგომა, ვიდგები ჩემი ქვეყნის სადარაჯოზე. სხვა ძალა და შესაძლებლობა მე არ მაქვს, რომ ჩემი ქვეყანა რაიმეთი დავიცვა. ამ სულისკვეთების გაზიარებით, რაც აქ ტრიალებს ახლა, ამ მართალი ხალხის გვერდით მე ვიცავ ჩემს ქვეყანას“.

**დიმიტრი ტეფნაძე, აქციის მონაწილე:** „აქ იმიტომ ვდგავარ, რომ საქართველო მიყვარს. და ყოველთვის, ყველა ბრძოლაში ვიდგები იქ, სადაც საქართველოს მტრების — ნაციონალების დასასრულისთვის იბრძოლებენ ჩემი თანამემამულეები. მტრები არ გვაკლია და შინაურმა მტრებმა უნდა მოგვიღონ ბოლო? ნაცები უნდა დასრულდნენ. ვისაც აქ ხედავთ, ამ ხალხის გადასაწყვეტია ჩვენი ქვეყნის მომავალი და არა იმათი, ვინც იქ, რუსთაველზე სუნიან კარვებში უსირცხვილოდ ზიან. ისინი ჩვენი სამშობლოს დაუძინებელი მტრები არიან“.

**მსახიობი როლანდ ოქროპირიძე** მთლად ცრემლებად იღვრებოდა: „მიყვარხართ ქართველები. სხვა რა ვთქვა, მეტი თქმის უფლებაც არ მაქვს.

უდიდეს პატივს ვცემ ჩვენს პატრიარქს, სადაც მართლმადიდებლობაა, სადაც ჩემი ხალხია, მეც იქ ვარ და ვიქნები“.

„უცნობის“ მოწოდებაზე, რომ ჯერ საპატრიარქოსთან ჩაევლოთ, პატრიარქისთვის მადლობა და პატივისცემა გამოეხატათ და მერე დედა ენის ძეგლისკენ წასულიყვნენ, ხალხი მეტეხის ხიდისკენ დაიძრა.

აქა-იქ ჩოჩქოლი და უკმაყოფილო რეპლიკები ისმოდა. ხიდთან შეჯგუფებულ რამდენიმე მომიტინგეს მივუახლოვდი. ტელეკომპანია „მთავარის“ რეპორტიორი მოექციათ წრეში, რის გამოც ტელეკომპანიის სრულიად ახალგაზრდა კორესპონდენტი აშკარად უკმაყოფილო ჩანდა. კამათობდა და თავს უმწეოდ იცავდა. ჯგუფს მივუახლოვდი და ერთ ქალბატონს ვკითხე:



— რა ხდება აქ ქალბატონო, მეც ჟურნალისტი ვარ.

— რა ხდება და, — მკლავში მეცა ხანშიშესული ქალი — უსინდისოები ხართ, ხალხს გვატყუებთ, შეურაცხყოფას გვაყენებთ, ჩვენი სიცოცხლის მომწამლავები ხართ ჟურნალისტები. ახლა კარგად მომისმინე: დიანა ტრაპაიძეს გადაეცი, სადაც შევხვდები, იქ შევაფურთხებ“.

აჰა, ტრაპაიძის მაგივრადაც გავილანძღე…

სამწუხაროა.

ასე შეულახეს ვაიჟურნალისტებმა ჟურნალისტებს და ჟურნალისტის პროფესიას იმიჯი და ღირსება...

გზა განვაგრძე და აქციას გავყევი საპატრიარქოს რეზიდენციისკენ.

„საქართველოს გაუმარჯოს!“ — შეძახილებით საპატრიარქოდან დედა ენის ძეგლისკენ გაგრძელდა მსვლელობა.

დედა ენის ბაღში ხელმოწერებით მარადისობის დღე დაფუძნდა, რომელიც, როგორც აღნიშნეს, ყოველწლიურ სახეს მიიღებს.

* * *

უკან დაბრუნებულმა სოციალურ ქსელს გადავხედე. ნაციონალების და მათი მომხრეების ბილწსიტყვაობას იქ შეკრებილი ხალხის მიმართ საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა ერთმა კომენტარმა განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება. ანონიმი Geo Clasher პროფილიდან წერდა: „ქოცებო, თქვე ჩათლახებო, დგახართ, როგორც @ლეები, წყვილ-წყვილად დაიხოცენით, მოგ@ანთ დედის პ@ჭები“.

ჩვენდა სავალალოდ, ასე გაიხლიჩა ხალხი და საზოგადოებაც.

სამწუხაროა, რომ ორივე მხარეს ქართველები დგანან და რევანში, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დაიწყო არა იდეის, არა მიწის, არა სამშობლოსთვის, არამედ ამბიციებით სკამებისთვის, თანამდებობებისთვის და პრივილეგიებისთვის და ეს რევანში სხვადასხვა ფორმებით დღემდე გრძელდება…

სამწუხაროა, რომ, როცა საჭირო იყო, არ იქნა მოსმენილი უმრავლესობის ხმა და ხალხის ნება, რომელიც უზენაესია, რომელსაც, როგორც მდინარეს, ვერ შეწყვეტ, ვერ შეაგუბებ და ვერ გააქრობ.

იმ დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხალხის ხმა ერის ხმაა და ის დღეს თუ არა, ხვალ მაინც, აუცილებლად იპოვის გზას და კალაპოტს.

პროცესები, შეიძლება, დროში გაიწელოს, მაგრამ სამართალი მაინც აღსრულდება.

ამის გამოხატულება იყო 9 აპრილს რიყეზე შეკრება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18






ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის!“



**ავთანდილ არაბული:**

მოვიდა კიდევ ერთი 14 აპრილი – უკვე 43-ე!.

„რა მივულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო?“

„რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!..“

დიახ, კიდევ ერთხელ გაგვახსენებს თავს ილია მართლის პირუთვნელი სიტყვაც და არნოლდ ჩიქობავას გაფრთხილება-ანდერძიც: თუ „დედაენის დღეს“ დავაწესებთ, მხოლოდ იმისათვის, რათა ეს იყოს არა ზეიმის, არამედ ანგარიშგების დღე მშობლიური ენის წინაშე!

ჩვენ კი რა პირით, რა ანგარიშით წარვდგებით მისი უდიდებულესობის – ქართული ენის წინაშე, როდესაც ყოველწლიურად – უარესი და უარესი!

**ხუთი წლის წინ მივიღეთ კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.**

**სამი წლის წინ შეიქმნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.**

თუნდაც ოდნავ თუ დაეტყო რაიმეს?

გადით თბილისის ქუჩებში (რეგიონებს ნუღარ ვიტყვით);

შედით დაწესებულებებში (კერძო სტრუქტურებს ნუღარ ვიტყვით);

შეიხედეთ უნივერსიტეტებში;

ჩართეთ ტელევიზორი;

წაიკითხეთ გაზეთი;

შედით ინტერნეტში...

და თქვენ დარწმუნდებით, რომ ის ტალახიანი კოკისპირული, რომელიც ახალ დროში თავს დაატყდა ჩვენს განათლებულ ენას, უკვე ვერეს ხეობის ნიაღვრად ქცეულა და წალეკვით ემუქრება ჩვენს უმთავრეს ქონებას, ჩვენს საუკუნოვან საგანძურს!

**2015 წლის 22 ივლისი** საქართველოს ისტორიაში ისეთივე გამორჩეული ასოებით ჩაიწერა, როგორითაც **1978 წლის 14 აპრილი**. ამ დღეს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ ეს იყო „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი. მანამდე ხომ ამ კანონის იდეამ, ჩვენი სახელმწიფოებრიობისა არ იყოს, რამდენიმე განსაცდელის შრე გამოიარა და ბოლო – ეს იყო ნაცხელისუფლების პერიოდი.

მათ არათუ ეს საკითხი გააქრეს დღის წესრიგიდან, არამედ ყველა ის სტრუქტურაც გაანადგურეს, რომელიც სახელმწიფო ენის დასაცავად იყო შექმნილი...

დიდი მოვლენები ისტორიულ გარემოებათა გადამწყვეტი დამთხვევებით ხდება და, როგორც ჩანს, ამ მრავალტანჯული კანონის მიღებაც ამგვარ ბედნიერ დამთხვევას უნდა მივაწეროთ.

ამ წლებში პრემიერ-მინისტრი იყო ირაკლი ღარიბაშვილი.

ამ დროს მუშაობდა „ქართული ოცნების“ პირველი მოწვევის პარლამენტი.

მაშინ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში ილვწოდნენ: ალ. ქანთარია, გ. ქავთარაძე, თ. ჭკუასელი, შ. ხაბარელი, ზ. პაპუაშვილი, თ. ჯაფარიძე, ფ. ხალვაში, ე. ჩაფიძე, ფ. საყვარელიძე... კომიტეტს კი ხელმძღვანელობდა აკად. ივ. კიღურაძე, ვისმა ნებამაც დიდწილად განაპირობა ამ საკანონმდებლო ინიციატივის წარმატება.

და მაინც... ამ პირობებშიც ორ-ნახევარი წელიწადი დასჭირდა ამ კანონის მიღებას.

რა გასაკვირია და ენის მდგომარეობა ყველაზე პირდაპირი ამსახველია ქვეყნის ბედისა და ისტორიისა.

არცერთ პოსტსაბჭოურ (ახალ) სახელმწიფოში არ გაძნელებულა ისე ენის კანონის მიღება, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, 1989–90 წლებში მიიღეს სახელმწიფო ენის კანონები.

სომხეთმა და აზერბაიჯანმა – 90-იანი წლების დასაწყისში...

საზოგადოებას ახსოვს, ჩვენი ეროვნული მოძრაობა მხარს უსწორებდა და ზოგჯერ უსწრებდა კიდეც ბალტიისპირულს.

ქართული სახელმწიფო ენის კანონის პირველი მონახაზიც, ბალტიისპირელთა კვალად, 1989 წელს შეიქმნა.

მაგრამ ჩვენს სახელმწიფოებრიობას და მის სულსა და გულს – სახელმწიფო ენას არაერთი საბედისწერო, ღალატიანი და მარცხიანი გამოცდა დახვდა წინ.

90-იან წლებში კიდევ რამდენიმე ცდა იყო ენის კანონის შემუშავებისა, ისე, რომ 2002 წლისათვის კანონპროექტი საკმარისად იყო მზად განხილვისათვის, მაგრამ კვლავაც გარემოებათა უარყოფითმა ბალანსმა შეაფერხა ეს საქმე.

ამიტომაც აღვნიშნავთ 2015 წლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ამ ბოლო მცდელობას ნაკლები წინააღმდეგობა არ დახვედრია წინ. საზოგადოებას უთუოდ ახსოვს, როგორი გამძაფრებით აღუდგნენ წინ ამ ინიციატივას პოლიტიკურად ანგაჟირებული ჩვენივე კოლეგები, ცალკეული პარტიები და პოლიტიკოსები, არასამთავრობოები (თითქმის უგამონაკლისოდ), სახელმწიფო სტრუქტურებში მყოფი განსხვავებული იდენტობის სუბიექტები (საკმაოდ მოურიდებლად), უცნაურად ირჯებოდა უშიშროება... არც მაშინდელი „ქართული ოცნების“ კოალიცია იყო ერთგვაროვანი. კანონპროექტი ჯერ ინიცირებულიც არ იყო (მხოლოდ საკანონმდებლო წინადადების სახით არსებობდა), როდესაც „წინასწარი დასკვნისათვის“ აღმოჩნდა მიჩუმათებით გაგზავნილი ვენეციის კომისიაში. იქიდანაც არ დაუყოვნებია უკიდურესად უარყოფით დასკვნას, რომელიც მხოლოდ მოცულობითაც კი სამგზის აღემატებოდა ჩვენს კანონპროექტს და ამ ჯერ კიდევ ჩანასახში მყოფ იდეას მომავალ მრავალმხრივ უბედურებათა სათავედ სახავდა. რაც მთავარია, დასკვნების უმეტესობა არაობიექტური, უსამართლო და, ზოგჯერ, უცერემონიოც კი იყო; ისეთი პათოსით იყო დამუხტული, თბილისში დაწერილი გეგონებოდათ! ამიტომაც გადავდგით თითქმის უპრეცედენტო ნაბიჯი – გავეცით არანაკლები მოცულობის, დეტალური პასუხი ამ კომისიის ექსპერტთა დასკვნაზე. დასათანხმებელს დავეთანხმეთ, მაგრამ ღიად მივუთითეთ, რომ ან ჩვენი კანონპროექტის მათთვის მიწოდებულ ვერსიაში იყო პრობლემა, ანდა უკიდურესად ტენდენციურად უყურებდნენ ეს ექსპერტები საქართველოს სურვილს, მოეწესრიგებინა საკუთარი ენობრივი „მეურნეობა“; კერძოდ, იმას, რასაც ისინი სხვა ქვეყნებში სანიმუშოდ სახავდნენ, საქართველოსთვის ლამის დანაშაულებრივ, დისკრიმინაციულ განაზრახად წარმოაჩენდნენ. საბედნიეროდ, რეაგირებამ გაჭრა და კანონპროექტის ინიცირების სივრცეც გაიხსნა...



აღნიშნული წინააღმდეგობების საპირწონედ მხარდამჭერი საზოგადოების აქტიურობაც გამოიკვეთა: კანონპროექტი რამდენიმეგზის განიხილეს და მხარდაჭერა გამოხატეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, სასულიერო აკადემიამ, რუსთაველისა და დემოგრაფიულმა საზოგადოებებმა, მწერლებმა, მასწავლებლებმა... რაც მთავარია, მოულოდნელად გამოჩნდა მხარდაჭერა ევროსაბჭოს თბილისის ოფისიდან. ამ ახალგაზრდებმა, რომელთაც მართლაც აჩვენეს საქართველოს მომავლის სალი ხედვა, სპეციალური კონფერენცია გამართეს ყვარელში ჩვენი ქვეყნის უმცირესობათა ენობრივ პრობლემებზე და სახელმწიფო ენის კანონი სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად შეაფასეს. აღსანიშნავია, რომ ამ ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა შორის უმცირესობათა წარმომადგენლებიც იყვნენ, მართლაც ევროპულად, ანუ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე აღმოჩნდა. ეს გარდატეხის წერტილს ნიშნავდა...

აქ ერთი უნდა აღინიშნოს: ამ მიმართულებით ხანგრძლივი საკანონმდებლო წარუმატებლობის მიზეზი ისიც იყო, რომ დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ არსებითად ვამუშავებდით არა სახელმწიფო ენის კანონს, არამედ კანონს ენობრივი პოლიტიკის შესახებ საქართველოში და საკმაოდ გვიან ვიპოვეთ ამ იდეის სწორი ფორმულირება. ამის აღნიშვნა იმიტომაც არის საჭირო, რომ ზოგიერთს დღესაც ვერ გაუგია, თუ რას ემსახურება 2015 წლის კანონი – **სახელმწიფო ენას თუ ენობრივ პოლიტიკას საქართველოში!** მეტიც, მათ ვერ დაუნახავთ პრინციპული განსხვავება **სახელმწიფო ენის დეპარტამენტის არსსა და ენის სახელმწიფო პალატას შორის**, რომელიც ვარდების რევოლუციის დამანგრეველ ტალღას შეეწირა.

ქართული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ საკმაოდ გაწონასწორებული გამოვიდა, ის ადეკვატურად ასახავს იმ ენობრივ ვითარებას, რასაც შესაბამისი დროისათ-



ვის არსებული სინამდვილე წარმოგვიდგენს. მას, როგორც ყველა ანალოგიურ კანონს, აქვს სუსტი წერტილებიც და ძლიერი მხარეებიც. მაგალითად, ჩვენი კანონის მონაპოვარია მუხლი ქართველური ენების შესახებ: 4.3. „**სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე**“. ვისაც ენობრივ პოლიტიკა ესმის, უთუოდ დაინახავს, რომ ამით სახელმწიფო ენაზე მეურვეობის არეალში მოექცა ქართველი ერის მთლიანი ენობრივი მემკვიდრეობა და, იმავე დროს, ხელშესახები ზღვარი გაევლო ჩვენი ქვეყნის ენობრივი მრავალფეროვნების სივრცეში მიმდინარე და შესაძლებელი პროცესებისაგან. რა გასაკვირია, თუ კანონის აღსასრულებლად მოსულმა ამავე კანონის მოწინააღმდეგეებმა უწინარესად სწორედ ამ მუხლს შეუტიეს!



მიღებული კანონის ამოქმედება უნდა უზრუნველეყო იმ სახელმწიფო ინსტიტუციას, რომელსაც კანონის საფუძველზევე ეწოდა „**სახელმწიფო ენის დეპარტამენტი**“ და მთლიანად განესაზღვრა ის ფუნქციებიც, რომელთა აღსრულებაც კანონის სიცოცხლისუნარიანობის გარანტი იქნებოდა. კანონის ინიციატორმა კომიტეტმა იმაზეც იზრუნა, რომ დეპარტამენტის **სტრუქტურა და დებულება** კანონის მიღებისათვის უკვე შემუშავებული ყოფილიყო. დეპარტამენტი უნდა შექმნილიყო **30 კვალიფიციური პირის შემადგენლობით, ოთხი ძირითადი სტრუქტურით**, რომელთაგან თითოეული გადამწყვეტ როლს შეასრულებდა კანონის მოთხოვნათა განხორციელებაში; რაც მთავარია, **სახელმწიფო ენის კომისია** დეპარტამენტის ერთ-ერთ უმთავრეს სტრუქტურად იყო მოაზრებული. დეპარტამენტი 2016 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო!..

კანონის მიღებას საბედისწეროდ დაემთხვა მთავრობის მეთაურის ცვლილება და ახალმა პრემიერმა კვირიკაშვილმა მთელი ორი წლის განმავლობაში უარი თქვა მიღებული კანონის აღსრულებაზე. ამასობაში პარლამენტიც შეიცვალა და კომიტეტის ახალმა თავმჯდომარემ მ. ჯაშმა დავალება მიიღო, რევიზია ეყო ჯერ აუმოქმედებელი კანონისათვის. კანონს ვერაფერი დააკლეს, მაგრამ თავიანთი უკანონობის დასაფარად ის კი მოახერხეს, რომ კულუარულად მიიღეს შესწორება დეპარტამენტის შექმნის ვალდებულების გადაწევის შესახებ 2018 წლისათვის.

რაკი კანონის შეჩერება ვერ მოახერხა, კვირიკაშვილმა გადაწყვიტა ისეთი სტრუქტურა შეექმნა, რომელსაც ქმედუნარიანობა საფუძველშივე დაკარგული ექნებოდა.

ამასობაში სრულად ამოქმედდა ქართული დეიდა-მამიდური პროტექციონიზმი და ის ადამიანები, ვინც ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა კანონის მიღებას, ახლა საკუთარი შვილებისა და ბიძაშვილების გასაყვანად უტალახებდნენ ხელისუფლებას კარს. – ბევრი კანდიდატია, – თქვა ერთხელ მ. ჯაშმა, – ხან ვფიქრობ, კონკურსი ხომ არ ჩავატარო თ. – ვერ ჩაატარებთ, – ვუთხარი მე, – რადგან, 50-კაციანი სიაც რომ გქონდეთ, ვინც თქვენ გინდათ, ის სულ ბოლო აღმოჩნდება!

დეპარტამენტის 30-წევრიანი შემადგენლობის დაკომპლექტების არსებითი პირობა იყო ნამდვილი პროფესიონალების შერჩევა. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი არ შეიძლება დაკომპლექტდეს არაპროფესიონალებით, ასევე დაუშვებელია სახელმწიფო ენის „დაავადებათა კონტროლის ცენტრი“ შედგეს სათანადო კვალიფიკაციის არმქონე პირებისაგან. ასეთი პროფესიული კვალიფიკაცია აქვს ფილოლოგთა ორიოდე ჯგუფს: სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის სპეციალისტებსა და ტერმინოლოგებს. სამწუხაროდ, ინსტიტუტების დანგრევის გამო მათი რაოდენობა მეტად შემცირებულია. ორი ხელის თითები გვეყოფა ნორმების ექსპერტთა ჩამოსათვლელად, ხოლო კვალიფიციურ ტერმინოლოგებს ერთი ხელის თითებზეც აღვნუსხავთ. და როგორი წარმოსადგენია ის, რომ არცერთი მათგანი არ არის დეპარტამენტის წევრი!..

დიახ, კვირიკაშვილმა დეპარტამენტი შექმნა არა 30 კაცით, არამედ ამისი მესამედით და ეს შემადგენლობა დააკომპლექტა არა პროფესიონალური, არამედ პოლიტიკური ნიშნით. ეს ნიშანი (პროფესიულის საპირისპიროდ) „ქართული ოცნების“ სასარგებლოდაც რომ გატარებულიყო, მაინც კატეგორიულად მიუღებელი იქნებოდა ჩვენთვის; მაგრამ როცა ეს პოლიტიკური ნიშანი სრულიად საწინააღმდეგო ფრთას წარმოადგენს, მართლაც გაუგონარი უტიფრობაა!

სად არიან ახლა „ოცნების“ რჩეულნი – ჯაში და კვირიკაშვილი? როგორც იტყვიან, ისინი კი არიან თავიანთ გზაზე, მაგრამ რა ეშველება მათ მიერ ქართული ენის საზიანოდ გავლებულ უკუღმართ ხნულს?! როდის მიეხედება ამ მახინჯად შექმნილ სტრუქტურას? თუკი ვინმეს ინკოგნიტო დამსახურებაა დასაფასებელი, რაღა სახელმწიფო ენის ინტერესების ხარჯზე, განა ამისათვის რომელიმე მარეგულირებელი კომისია არ აჯობებდა?!..

კიდევ ერთი არსებითი პირობა დაირღვა სახელმწიფო ენის კანონისა და შესაბამისი სტრუქტურის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის: კანონის აღსრულება ორი სტრუქტურის – დეპარტამენტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის – ტანდემს უნდა დაჰფუძნებოდა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ეს პოზიცია ისტორიულ კანონზომიერებად ჩამოყალიბდა და არა – მიკერძოებულ უპირატესობად, როგორც იმ დროს ზოგიერთმა მოახერხა ამ საკითხის წარმოჩენა. კერძოდ, კოორდინაციის ეს გამოცდილება ყალიბდებოდა მას შემდეგ, რაც 1953 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა „სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“ და მისი საბაზო კვლევითი დაწესებულების ფუნქცია ენათმეცნიერების ინსტიტუტს მიენიჭა, მეტიც, მომდევნო წლიდან ამ ინსტიტუტში შეიქმნა სპეციალური (ჯერ – სალიტერატურო ენის ნორმების, შემდეგ კი – ქართ. მეტყველების კულტურის) განყოფილება, რომელიც უწყვეტად ემსახურებოდა ქართული ენის ნორმატიული უზრუნველყოფის საქმეს.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მიზანმიმართულად დაირღვა ყველა ის პრინციპი, რასაც ჩვენს არცთუ დალხენილ პირობებში მეტ-ნაკლებად უნდა შეესხა ხორცი იმ განზრახისათვის, რაც უკვე წარმოჩენილ საკანონმდებლო იდეაში იყო ჩანერგილი.

არ შეიძლება ამ კონტექსტში კიდევ ერთი ფაქტი არ აღვნიშნოთ: იმავე დროს, როდესაც სახელმწიფო ენის კანონისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა, კიდევ ერთი „მონათესავე“ პროექტი განხორციელდა კულტურის ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით. ეს იყო ნომინაცია „**ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა**“, რომელსაც 2016 წელს იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საკაცობრიო ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ეს დოკუმენტი, რომლის არსებობაც ბევრისთვის დღემდე უცნობია, წარმოადგენს მნიშვნელოვან ეროვნულ პროგრამას ქართული ენის მომავალი განვითარებისათვის, მხარდაჭერილს იუნესკოს მიერ. დეპარტამენტში კი კვლავაც ორბორბლიანი ველოსიპედის გამოგონებით არიან გატაცებულნი!..

მაშინ, როდესაც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დაფუძნებას საეჭვოდ აჯანჯლებდნენ, კომიტეტის თავმჯდომარეს (მ. ჯაშს) მიუკიბავ-მოუკიბავად ვუთხარი: ჯობია სულაც არ შეიქმნას ეს სტრუქტურა, ვიდრე ისეთი შეიქმნას, რომელიც იდეის დისკრედიტაციას გამოიწვევს!

*ახლა ყველა ხედავს, რას წარმოადგენს ეს დიდი სახელის, მაგრამ მკვდრადშობილი სახელმწიფო უწყება: სამი წელი ისე გავიდა, არათუ რაიმე ხმამაღალი განცხადება, ერთი წამოკნავლებაც არავის გაუგონია დეპარტამენტის სახელით. ყველაფრის მცოდნე ჟურნალისტებსაც კი ვერ მიუგნიათ, სად არის და რას აკეთებს ეს ნაოცნებარი „სანიტარი“ ჩვენი სავალალო ენობრივი მდგომარეობისა.

არადა მაშინ, როდესაც ჩვენი კანონპროექტის ბედი ჯერ კიდევ სასწორზე იდო (2014 წ.), საკუთარ ქვეყანას იკლებდა სომხეთის შესაბამისი უწყების (იქ სამინისტროსთან არსებობს სახელმწიფო ენის დაცვის ინსპექცია) ხელმძღვანელი, – სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კანონით განსაზღვრული ჯარიმა უნდა დაეკისროს, რადგან მან სახელმწიფო ენის კანონი დაარღვია, კერძოდ, რუს კოლეგასთან დიალოგი რუსულ ენაზე წარმართაო. ხომ ცნობილია სომხეთის ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ რუსული ენის ექსპანსიაზე საუბარსაც კი არ ერიდებოდნენ ინტერნეტში თუ პრესაში.

იქნებ ჩვენი სახელმწიფო ენაა ისეთ იდეალურ მდგომარეობაში, რომ შესანიშნი და გამოსასწორებელი არაფერია?

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს:

სამი წელია დეპარტამენტი არსებობს და ჯერ არცერთი მიმართულებით არ შეუმჩნევია ქვეყანას მისი არსებობა:

არც გარე წარწერების (რასაც თვალი უწინარეს ხედავს) სფეროში;

არც მასმედიის სფეროში;

არც განათლების, კერძოდ, სახელმწიფო ენის სწავლების სფეროში;

არც არაქართულენოვანი რეგიონების ენობრივი ადაპტაცია-ინტეგრირების მხრივ;

არც ოფიციალურ-საქმიან სფეროში;

არც სამეცნიერო-პრაქტიკული რესურსებით, სპეციალური პროგრამებით უზრუნველყოფის მიმართულებით...

არადა, მაშინდელი საკუთარი სიტყვების მრცხვენია – სკეპტიკოსებს ვარწმუნებდი: კანონს მივიღებთ თუ არა, ორიოდე თვეში დაეტყობა ჩვენს დედაქალაქს, შემდეგ კი – რეგიონებს...

ზემოქმედების ბერკეტები არა გვაქვსო, – მიზეზს რა დაულევს უგერგილოს! საკმარისი ბერკეტები არსებობს ამ კანონშიც და რეკლამისა და მაუწყებლობის კანონებშიც, რომ დარღვევების უმეტესობა აღმოიფხვრას.

გარდა ამისა, კანონი ყველა წვრილმანს ვერ მოიცავს. სამაგიეროდ კანონი დეპარტამენტს აკისრებს მოვალეობას, – დაადგინოს **წესები გარე წარწერების** სფეროში: 25.2: „ამ წარწერათა არასახელმწიფო ენაზე (მათ შორის – უმცირესობის ენაზე) წარმოდგენის წესებს განსაზღვრავს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.“

მაშ, სად არის ეს წესები?!

დეპარტამენტს უნდა დაეწესებინა მუდმივი **ზედამხედველობა მასმედიის ძირითადი საშუალებებისათვის** და გარკვეული პერიოდულობით (კვარტალში ერთხელ მაინც) ჰქონოდა მათთან პრინციპული საუბარი ძირითადი პრობლემების შესახებ. თუ მხოლოდ დეპარტამენტი ვერ ხედავს, ნორმების დაცვას ვილა ჩივის, სიძულვილის ენისა და სკაბრეზის რა ნიაღვარი მოდის მედიასაშუალებებიდან?!

12 გვ. →







ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის!“

11 გვ.

დეპარტამენტს ევალება იზრუნოს იმაზე, რომ **სახელმწიფო ენის სწავლების** ვალდებულება აღასრულოს ყველა ტიპის უმაღლესმა და პროფესიულმა სასწავლებელმა.

დეპარტამენტმა უნდა შეიმუშაოს ღონისძიებები, რათა სახელისუფლებო სტრუქტურებმა უზრუნველყონ რეგიონების მოსახლეობის მოთხოვნები **სახელმწიფო ენის ცოდნის გასაღრმავებლად** (კანონის 6.5: „საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთათვის სახელმწიფო უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის დაუფლების შესაძლებლობას“.). არადა, გასული ერთი წლის კოვიდპანდემიამ უმწვავესად წარმოაჩინა მოსახლეობასთან ელემენტარული კომუნიკაციის პრობლემები. ამას ყველა ამჩნევდა და აღნიშნავდა, დეპარტამენტის გარდა.



ტამენტისთვის ის აქტუალური არ არის? თუმცაღა, დეპარტამენტმა ამ მიმართულებით მაინც გადადგა ორიოდე კუს ნაბიჯი – გამოსცა ე.წ. „გავრცელებული ენობრივი შეცდომების ლექსიკონი“ და მართლწერის მცირე ბიულეტენი. ეს უკანასკნელი ოდნავადაც ვერ უპასუხებს ამ სფეროს თანამედროვე მოთხოვნებს. რაც შეეხება კომპილაციურ-პლაგიაციურ ლექსიკონს (თურმე კვირიკაშვილის შეკვეთით მოხლაფორთებულს), უზუსტობებს რომ თავი დავანებოთ, ის თავისი არსით ბრომლეის ინსტიტუტის შეკვეთით გაკეთებული გეგონებათ. დიახ, იყო რუსეთში ასეთი შოვინისტური ბუდე – ბრომლეის ინსტიტუტი, რომელიც რესპუბლიკებში რუსული ენის გავრცელების ინტენსივობას შეისწავლიდა. გზადაგზა ის აქვეყნებდა მკაცრ მამხილებელ წერილებს, ქართულში ამდენი სიტყვაა რუსულიდან შესული

დღე ამ კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე; ამიტომაც პრობლემის არსში გარკვევის ამ მცდელობამაც ამაოდ ჩაიარა. იმ ცაიტნოტში სათქმელის თქმაც ვერ მოხერხდა... როგორც ჩანს, დესტრუქტივისტებსა და დეკონსტრუქტივისტებს ჩვენს ქვეყანაში კვლავაც ამინდი უდგას. ნიშანდობლივია, რომ ამ საკანონმდებლო სივრცეში სულაც არავის გახსენებია ის ახალი რეალობა, რომელშიც გვიწევდა სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება სახელმწიფო ენის სფეროში. სახელდობრ: საქართველოს **ახალმა კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად შეცვალა სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი**, თანაც – ცვლილება მოხდა გაუმჯობესების კუთხით...

გავიხსენოთ: 1978 წლის 14 აპრილის გამოსვლა საბჭოთა იმპერიის მიერ ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეცვლის მცდელობას მოჰყვა. საგულისხმოა, რომ მაშინდელი საქართველოს საბჭოურ კონსტიტუციაში, კომუნიზმის გაბუქულ იდეალებს შორის, შესაბამისი ფორმალური მუხლი მხოლოდ 75-ე ადგილს იკავებდა! მაგრამ ფაქტია, რომ ის მაინც იძლეოდა ეროვნული ენის დაცვისა და, თუნდაც, საკანონმდებლო უზრუნველყოფის საშუალებას. სწორედ მის საფუძველზე ვცდილობდით 80-იანი წლების ბოლოს სახელმწიფო ენის კანონის შემუშავებას...

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია უკვე მე-8 მუხლს განუკუთვნებს სახელმწიფო ენას, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს. სწორედ ამ მუხლის საკანონმდებლო უზრუნველყოფას წარმოადგენს 2015 წელს მიღებული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

დეპარტამენტს ევალებოდა სამი ძირითადი მიმართულებით შეემუშავებინა სასიცოცხლო მნიშვნელობის **სახელმწიფო პროგრამები**. ეს სამი მიმართულებაა: ა) სახელმწიფო ენის შესწავლა-სწავლება; ბ) სახ. ენის კვლევა, მისი ერთიანი ლექსიკოგრაფიული უზრუნველყოფა, ნორმებისა და ტერმინოლოგიის შემუშავება; გ) სახელმწიფო ენის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. რა გასაკვირია, თუ ამათ სახელმწიფო პროგრამაც ისე გაიგეს, თითქოს იმ პროექტებისა და გამოცემების ნუსხა უნდა შედგინათ სახელმწიფო დაფინანსებისათვის, რომლებიც პირად გეგმებში ჰქონდათ.

დეპარტამენტს კანონით ევალება შეიმუშაოს და საზოგადოებას მიაწოდოს ის აუცილებელი ენობრივი ნორმები და ტერმინოლოგიური სტანდარტები, რაც ყველაზე აქტუალურია ჩვენი თანამედროვე ენობრივი მეურნეობისათვის. განსაკუთრებით ტერმინოლოგიის სფეროში შეიქმნა გამოუვალი მდგომარეობა, უსანქციოდ შემოჭრილმა ტერმინებმა, ბარბარიზმებმა გაავსო საინფორმაციო სივრცე. დეპარტამენტს, კერძოდ, სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიას ევალებოდა შეემუშავებინა **ტერმინოლოგიის დადგენისა და გამოყენების ნორმები**.

სად არის ეს ნორმები?! თუ დეპარ-

(სტოლი, პოლი, პატალოკი, ფეჩი, სპიჩკა, რული, გრუზავიკი...) და ქართველი მეცნიერები კი ამას ლექსიკონებში არ ასახავენო. მართლაც, არა მხოლოდ სალიტერატურო ენის, დიალექტურ ლექსიკონებშიც არ შეჰქონდათ ჩვენს ლექსიკოგაფებს რუსული ბარბარიზმები და ამით ქმნიდნენ ქართული ენის განვითარების გონივრულ სტრატეგიას. დეპარტამენტში კი, თუ სადმე ვინმეს რამე უცხო სიტყვა წამოსცდა, ყველას დაფიქსირება გადაუწყვეტიათ, რითაც დამატებით არხს უხსნიან ამ „ბარბარიზმების“ დამკვიდრებას. ნუთუ მართლა ჰგონიათ მათ, რომ ისეთი სიტყვები, როგორიცაა **სთოქი, სიქლივი, სტაფი, სფიჩი, სქილები, ტანტიემი, ფეისი, ფიდბექი, ჩელენჯი, ლოგაუთი, ლუგერი**... მათ შორის – რუსული: **ჟეშტი, ჟიდკოსტი, რემენი, რიჩაგი, რუჩნიკი, ტორმუზი** და სხვ. და სხვ. მართლაც ასე გავრცელებულია ქართულ ენაში? არა გვჯერა, რომ ნამდვილად ასე ჰგონიათ, ამიტომაც ვეჭვობთ, რომ ბრომლეურ საქმეს ემსახურებიან.

სულ ახლახან (19.03) საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ანგარიში მოისმინეს. სამწუხაროდ, ისე დაემთხვა, რომ ეს აღმოჩნდა ქალბატონ თეა წულუკიანის ყოფნის ბოლო

საქართველოს უახლესმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო აამაღლა სახელმწიფო ენის რანგი, მას მიუჩინა მე-2 მუხლის („სახელმწიფო სიმბოლოები“) მე-3 პუნქტი და იქვე ისიც განსაზღვრა, რომ **„სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით“**.

ეს უკვე სრულიად ახალი რეალობაა. ამიტომაც ამ ეტაპზე (კანონის მიღებიდან 5 წლის შემდეგ) უკვე იმაზე უნდა ვმსჯელობდეთ, რა საკანონმდებლო ინიციატივებს მოითხოვს სახელმწიფო ენის ახალი კონსტიტუციური სტატუსი და არა იმაზე – როგორ ვიხსნათ სახელმწიფო ენის იდეა სრული დისკრედიტაციისაგან! ცხადია, ცდის ახალი ეტაპი წინაა, მაგრამ ვისთან ერთად – ვისაც კანონების წაკითხვაც არ შეუძლია?!..

გულისხმიერი მკითხველი უთუოდ ხვდება, რომ ბევრი ფრჩხილი ჯერაც გაუხსნელი რჩება, მაგრამ ერთი რამ, ვფიქრობთ, აშკარაა: სახელმწიფო ენის კანონის იდეა უკვე გადარჩენას საჭიროებს, უპირველესად კი – იმ გაურკვეველი სტრუქტურისაგან, რომელსაც დეპარტამენტი ჰქვია.





ირაკლი აბაშიძე

## ხმა კატამონთან

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.
ნათესავს ათასს
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი,
მორჩა,
ყველა მოთავდა,
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ - ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.
თუ რამ მჰე მწამდა,
თუ რამ მჰე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოველის მთქმელო,
ყოველის არ მთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსული ძეგლო, წინ გამხედავო.
ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო.
ხან - ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ უჭკნობს,
შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუმარ-მასპინძლობის თურქული ვარიანტი - ორი სავარძელი სამისთვის



მსოფლიო პოლიტიკა დღეს უკვე ჩიხში შევიდა. პოლიტიკოსები გამოსავალს ეძებენ, რადგან შეიარაღებული დაპირისპირება, ფართომასშტაბიანი ომი არავის აწყობს. თუმცა, დიპლომატიური მოლაპარაკებები ცალკეულ ქვეყნებს შორის, შეიძლება ითქვას, უკვე შეუძლებელი გახდა. გარდა ამისა, პოლიტიკაც ეგოისტური გახდა — დიდი, ძლიერი ქვეყნები საკუთარი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. აქედან გამომდინარე, ქვეყნებს შორის მოკავშირეობამ, ალიანსმა ფორმალური სახე შეიძინა. ექსპერტები ღიად აფიქსირებენ, რომ ქვეყნები მხოლოდ საკუთარ იმედზე უნდა იყვნენ. მიზეზად კოვიდ-პანდემიას ასახელებენ, რომელმაც სამყაროს ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებები შეიტანა. მიუხედავად ყველაფრისა, პოლიტიკური ცხოვრება მსოფლიოში, ავად თუ კარგად, გრძელდება.

ვიზიტი, რომელიც თურქეთში განახორციელეს ევროკავშირის ხელმძღვანელებმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა და შარლ მიშელმა, სკანდალური აღმოჩნდა. სტუმრობა მასპინძელ ქვეყანასა და ევროკავშირთან ურთიერთობის დარეგულირებას ემსახურებოდა. ორი კვირის წინ თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის გადაწყვეტილებით, ქვეყანამ დატოვა ე.წ. „სტამბოლის შეთანხმება“, რომელიც ქალთა უფლებების დაცვას ითვალისწინებს. მიზეზად პრეზიდენტმა დაასახელა ის გარემოება, რომ აღნიშნული შეთანხმების რატიფიკაცია ბევრ ქვეყანას არ განუხორციელებია. ამასთან, განაცხადა, რომ თურქეთის კონსტიტუცია იცავს ნებისმიერი ადამიანის უფლებებს. ამის გარდა, კვლავ მწვავედ დგას მიგრანტების პრობლემა, რომლებიც თურქეთის გავლით ჩადიან ევროკავშირის ქვეყნებში.

მაღალი დონის სტუმრები თურქეთმა პატივით მიიღო, წითელი ხალიჩაც კი გაუფინეს, მაგრამ... პრეზიდენტმა ერდოღანმა პირადად მიიღო სტუმრები, პროტოკოლური სურათებიც გადაიღეს. მოლაპარაკებების დაწყებისას აღმოჩნდა, რომ ოთახში მხოლოდ ორი სავარძელი იდგა — ერთზე პრეზიდენტი მოთავსდა, მეორე შარლ მიშელმა დაიკავა, ქალბატონი ფეხზე დარჩა. მასპინძლებმა არც კი შეიმჩნიეს შექმნილი უხერხული სიტუაცია. მდგომარეობა ისევ ურსულა ფონ დერ ლაიენმა განმუხტა — იგი იქვე მდგარ დივანზე ჩამოჯდა, რომელიც თარჯიმნებისთვის ან სხვა დამხმარე პერსონალისთვის არის პროტოკოლით გათვალისწინებული.

სტუმრების ასეთი მიღება ევროკავშირში თურქეთის მხრიდან ორგანიზაციის დაკნინებად შეაფასეს. საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუდ ჩაუშოღლუმ განაცხადა, რომ სავარძლები ევროკავშირის მოთხოვნის მიხედვით, განვათავსეთო. შარლ მიშელი თავს დღემდე უხერხულად გრძნობს ანკარაში მომხდარის გამო. მისი თქმით, „...ღამე ცუდად მძინავს, მუდამ თვალწინ მიდგას ანკარაში მომხდარი ინციდენტი და ვწუხვარ. შესაძლებელი რომ იყოს, გამოვასწორებდი“. თავად ურსულას კომენტარი არ გაუკეთებია.

ექსპერტები შემთხვევითობას გამორიცხავენ. მათი შეფასებით, ევროკავშირის მხრიდან კრიტიკით განაწყენებულმა ერდოღანმა მსგავსი დახვედრით პირადად ლაიენს მიანიშნა საკუთარი უპირატესობა. სულ ახლო წარსულში თურქეთი ცდილობდა შეესრულებინა ევროკავშირის მოთხოვნები, მაგრამ ახლა დამოუკიდებლად მოქმედებს. ამასთან, ანკარაში ევროჩინოსნებს მოლაპარაკებების დაწყებამდე წარუდგინეს საკუთარი მოთხოვნების ვრცელი სია. ევროჩინოსნების ვიზიტი უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ერდოღანს ვერ გადაათქმევინეს „სტამბოლის შეთანხმებიდან“ გასვლა.



ვითარება უკრაინის დონბასის რეგიონში კვლავ დაძაბული რჩება. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი ეძებს მხარდამჭერებს ნატოს წევრ ქვეყნებში. მართალია, ჯო ბაიდენმა მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინას, მაგრამ თეთრი სახლის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ჯენ ფსაკიმ გასულ კვირას ბრიფინგზე ცივად განაცხადა: „...შეშფოთებულები ვართ, დონბასის რეგიონში გართულებული ვითარებით. მართალია, უკრაინას სურს ნატოში გაწევრიანება, მაგრამ საკითხი მხოლოდ აშშ-ის გადასაწყვეტი არ არის, ალიანსის წევრმა ქვეყნებმაც უნდა დაუჭირონ მხარი!“ ამიტომაც განახორციელა გასულ კვირას ვიზიტი თურქეთში ზელენსკიმ. საინტერესოა, რომ, ვიდრე სტუმარს მიიღებდა, ერდოღანი ტელეფონით ესაუბრა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს. ზელენსკისთან შეხვედრის შემდეგ ოფიციალურად განაცხადა: „...თურქეთი მხარს უჭერს და აღიარებს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. დავეხმარებით დონბასის რეგიონში არსებული კონფლიქტის მოგვარებაში, რაც გათვალისწინებულია მინსკის შეთანხმების ფარგლებში“.

დიდი დრო არ გასულა ჩინეთ-ირანს შორის გაფორმებული შეთანხმებიდან, რაც მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ამავდროულად გრძელდება შეხვედრები ირანის ბირთვულ პროგრამაში დაბრუნების დასაყოლიებლად. ირანელები თავიანთ პირობებზე მყარად დგანან. მოლაპარაკებები ერთია, მაგრამ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა ირანში სულ უფრო ფართოვდება. გასულ კვირას ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ დაათვალიერა სრულიად ახალი ცენტრიფუგა, სადაც ურანის გამდიდრებაზე იმუშავებენ. საქმიანობის დაწყების ბრძანებაც გასცა. ამის შემდეგ ორი საათიც არ იყო გასული, რომ ობიექტზე აფეთქების ხმა გაისმა, ელექტროენერგია გამოირთო. მსხვერპლი და დაშავებულები არ არიან, ზარალი უმნიშვნელოაო, აცხადებენ ირანელები. ინციდენტის გამოძიება უკვე მიმდინარეობს. ორი დღის წინ ამერიკულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, ობიექტზე შეტევა ისრაელმა განახორციელაო. ირანელებს ჯერ არ უპასუხიათ და არც თავიანთი დასკვნები გაუვრცელებიათ. ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება მომხდარს.

ამერიკული ცალკეული გამოცემები შეშფოთებულები არიან აშშ-ში შექმნილი დღევანდელი ვითარებით. მათი ინფორმაციით, დღეს თეთრკანიან მამაკაცებზე ნადირობაა გაჩაღებული. ნებისმიერ თეთრკანიანს მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიას“ წევრები მტრებად მიიჩნევენ. უცნაურია, მაგრამ თეთრკანიანებს თვით ჯო ბაიდენმაც გამოუცხადა ომი, რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკეულ გამოცემებსა და პოლიტიკოსებზე. „იყო თეთრკანიანი, ახლა აშშ-ში სახიფათო გახდა“, — აცხადებენ ჟურნალისტები. ამიტომაც აპირებენ თეთრკანიანი მოსახლეობის დასაცავად მარშების გამართვას აშშ-ის დიდ ქალაქებში. ექსპერტები შიშობენ, რომ, ადვილი შესაძლებელია, მსგავსმა სიტუაციამ აშშ-ში ახალი სამოქალაქო ომი გამოიწვიოს. ვითარებას ამწვავებს ის გარემოებაც, რომ სასამართლო ექსპერტიზამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ვინმე ფლოიდის სიკვდილში ეჭვმიტანილი პოლიციელის უდანაშაულობა — სამართალდამცველს მუხლი დაბჯენილი ჰქონდა მხარზე და არა კისერზე, როგორც ამტკიცებდნენ ამბოხებულები. ამით განაწყენებული შავკანიანები ახალი დარბევა-არეულობებით იმუქრებიან. ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება რასობრივ დაპირისპირებას აშშ-ში.

დესტაბილიზაცია დიდი ბრიტანეთში ძალას იკრებს. თითქმის ერთი კვირაა, ჩრდილოეთ ირლანდია ცეცხლის ალშია გახვეული. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბრექსიტის მომხრე-მოწინააღმდეგეები, ასევე პროტესტანტები და კათოლიკეები. პოლიციას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რათა პირდაპირი შეტაკებები აიცილონ თავიდან. დაშავებულია 70-ზე მეტი პოლიციელი. ირლანდიელი პოლიტიკოსის კონ ბრუტონის განცხადებით, ლონდონმა არ გაითვალისწინა, რომ ბრექსიტი დაანგრევდა 1998 წელს წვალებით მიღწეულ სამშვიდობო ხელშეკრულებას ირლანდიელ რადიკალებთან. თავის მხრივ, შოტლანდიელები დამოუკიდებლობას მოთხოვნით რეფერენდუმის გამართვას გეგმავენ. ექსპერტების განცხადებით, ბორის ჯონსონს სამეფო ოჯახის დახმარების დიდი იმედი ჰქონდა კრიზისის დაძლევაში. ახლა, პრინც ფილიპის გარდაცვალების შემდეგ, ძნელია თქმა, დაეხმარება თუ არა დედოფალი თავის პრემიერს.

გია ბურდული
551 71 27 07





ეროვნული ბიბლიოთეკა

## კატი დადეშქელიანი:

# თავადის ქალი მუნდირში

საფრანგეთში მცხოვრები ქართველი პოლიტიკური ემიგრანტი ქალის, კატი (ეკატერინე-ჩიჩი) დადეშქელიანის მემუარები, სახელწოდებით „თავადის ქალი მუნდირში“, ფრანგულიდან ინგლისურად თარგმნა და 1934 წელს ლონდონში წიგნად გამოსცა ცნობილმა იურისტმა, მწერალმა და მთარგმნელმა არტურ ჯ. ეშტონმა.

მამაკაცის მუნდირში გადაცმული, „ჯემალ დადეშქელიანის“ სახელით მამაცურად მებრძოლი ქართველი ქალი, პირველ მსოფლიო ომში კავკასიის „ველურ დივიზიაში“ მოხალისედ ირიცხებოდა. ქართველი მებრძოლის მიერ საველე ჰოსპიტლის მართვის პროცესში გამოვლენილი ორგანიზატორული ნიჭი, სიმამაცე და უდიდესი პასუხისმგებლობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ დივიზიის მეთაურებს. „ჯემალ“ დადეშქელიანის გმირული ღვაწლი, როგორც მოგონებებშია აღნიშნული, წმინდა გიორგის ორი მედლით აღინიშნა. თუმც მეორე მედლის მიღების ფაქტი დოკუმენტურად ვერ დასტურდება.

ოქტომბრის რევოლუციის მისამართით გაკეთებულ უმკაცრეს შეფასებათა გამო, კატის მოგონებები საქართველოში დღემდე არ გამოცემულა, მისი პიროვნების ხსენებას კი, წლების მანძილზე, ტაბუ ჰქონდა დადებული.

დასაბეჭდად გამზადებულია და გამომცემელს ელის ქეთევან ტომარაძის მიერ შესანიშნავად თარგმნილი კატი დადეშქელიანის მოგონებების წიგნი, თანდართული ვრცელი ნარკვევით.

გთავაზობთ ერთ თავს წიგნიდან.


კატი დადეშქელიანი

## შვებულება პეტროგრადში

პეტროგრადში ჩემს დას, ნინას და ძმას, თენგიზს შევხვდი, რომელმაც რამდენიმე თვე ფრონტზე გაატარა და ახლა პაჟთა კორპუსში ირიცხებოდა. ჩემი მეორე ძმა კი სამხედრო სამსახურისთვის ძალზე ახალგაზრდა იყო, თანაც სიყრუე აბრკოლებდა და ჯერ ისევ სვანეთში იმყოფებოდა.

„ძმის“ ფრონტიდან დაბრუნებით გახარებულმა ნინამ გადაწყვიტა, ჩემთვის მთელი თავისი სამეგობრო გაეცნო და დაიჟინა, იმავე საღამოს თეატრში ვხლებოდი: – „შენ მოუსმენ მშვენიერ მომღერალ ქალს, რომლმაც ყველანი აღგვაფრთოვანა. ის ერთობ მომხიბლავი და ნიჭიერია, ამასთან, უზადო რეპუტაციით სარგებლობს, დანიშნულია და სამსახურის გარდა არსად ჩნდება“, მითხრა.

ცხადია, წასვლაზე უარი არ მითქვამს, გავყევი და ვნახე, რომ ყველანი, დედაჩემის ჩათვლით, მომღერლით ჩემი დის აღფრთოვანებას იზიარებდა. მე კი მათგან განსხვავებით, დიდად როდი მოვიხიბლე, მხოლოდ კარგ მომღერლად მივიჩნიე და საკუთარი თავი სალანძღავი სიტყვებით შევამკე – ხეპრე, გონებაჩლუნგი და ა.შ. ჯარისკაცი ვუწოდე.

მომდევნო საღამოს ნინამ კვლავ მთხოვა თეატრში გაყოლა, სადაც ჩემმა მუნდირმა და ერთობ ახალგაზრდულმა იერმა საზოგადოების არაერთი მაამებლური ქათინაური დაიმსახურა. ხელახლა რომ ვნახე და მოვუსმინე ახალგაზრდა მომღერალს, დავრწმუნდი, რომ ჩვენს მეგობრებს თაყვანისცემის საფუძველი ნამდვილად ჰქონდათ. „სთხოვე, ერთად ვივახშმოთ, გამოსვლას რომ დაასრულებს“, შემომთავაზა ჩემმა დამ (აქვე უნდა შევნიშნო, რომ თითოეული ლოჟის უკან მცირე სალონი იყო მოწყობილი, სადაც სასმელებით შეიძლებოდა გამასპინძლება).


კატი დადეშქელიანი

– „რა სიბრიყვეა“! ვუპასუხე, „მას ხომ ჯერ წესიერადაც არ ვიცნობ“.

– „მაქვს პატივი განვაცხადო, რომ მე ვიცნობ“, დასძინა ერთმა ჩვენმა მეგობარმა, „ნება მიბოძეთ, ბარათი თავად გადავცე, თუმც ვეჭვობ, წამოვიდეს“.

მოწვევა გაიგზავნა და ამასობაში საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა მომბეზრდა, ლოჟის დატოვება გადვწყვიტე და კორიდორში ვცემდი ბოლთას, რომ მოულოდნელად მწვანე ოთახში შემავალი კარი გაიღო, სახეში მომხვდა და ჩემ წინ მომღერალი აღიმართა. ცხადია, მას „თავადი ჯემალის“ სახელით გავეცანი და ჩემ დასთან მივაცილე. ახლოდან მომღერალი გაცილებით მომხიბლავი აღმოჩნდა, ვიდრე სცენიდან ჩანდა, სადაც თავი ნიჭიერ, ორიგინალურ შემსრულებლად დაგვამახსოვრა. ვახშმად რომ მივიპატიჟე, თქვენ წარმოიდგინეთ, უყოყმანოდ დათანხმდა, რამაც ყველანი გააოცა. დიახ, დიახ, ამგვარად, მან, სიცოცხლეში პირველად, თავის ჩვეულებას უღალატა და სპექტაკლის შემდეგ უმალვე შინ არ დაბრუნებულა. ფეშენებელურ ქართულ კაბარეში დავრეკე და ცალკე ოთახის დაჯავშნა მოვითხოვე, მერე კი ორი მარხილი გამოვიძახე და ერთში ჩაჯდომა მადმუაზელ მ.ბ.-ს (თავს ვიკავებ მისი დასახელებისგან, რადგან ამჟამად გათხოვილია და შვილების დედაა) შევთავაზე. ნინა და ჩვენ მიერ მოწვეული მისი მეგობრებიც გვახლდნენ. ის-ის იყო, ჩემი დის ორ მეგობართან ერთად, სხვა მარხილში უნდა ჩავმჯდარიყავი, რომ მომღერალმა მკითხა: „რაო, თქვენ არ მობრძანდებით, თავადო?“

„არა, მადმუაზელ,“ მივუგე, „მე ამ გოგონებს ვახლავარ, რესტორანში შევხვდებით ერთმანეთს.“ უკმაყოფილების ნიშნად, მომღერალმა ტუჩები კეკლუცად აიბზუა და აღარაფერი მიპასუხა.

კეთილგონიერი პატარა მსახიობი შინ გათენებისას დაბრუნდა და რამდენიმე საათში მე და ჩემს დას, ტელეფონით მადლობა გადაგვიხადა. ნინა აღაფრთოვანა მომღერლის გაცნობამ. მე ყვავილების თაიგული გავუგზავნე და იმავე საღამოს ვახშად მოვიპატიჟე. მოწვევა მიიღო და ამიერიდან ყოველ დღე, რეპეტიციის შემდეგ, ჩვენთან სახლში, დაახლოებით ოთხი საათისთვის მოდიოდა და სადილობდა, მერე თეატრამდე ვაცილებდი და შინ ნინას წასაყვანად ვბრუნდებოდი; სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კი, ბოშური ანსამბლის თანხლებით, ვახშამს მხიარულად შევექცეოდი თ.

ასეთმა ცხოვრებამ მალე ბრონქებზე იმოქმედა, შეტევები დამეწყო და ორი – სამი დღე საწოლს მივეჯაჭვე. მადმუაზელ მ.ბ. – ი ჩემ სანახავად მოვიდა, სავარძელში მოკრძალებით მოთავსდა და ომის ამბების მოყოლა მთხოვა. რის ვაივაგლახით ცოტა გამოვკეთდი და როგორც კი წამოდგომა მოვახერხე, კვლავ დროსტარების თავბრუდამხვევ ფერხულში ჩავები. ცხადია, სნეულებამ ისევ შემომიტია და ხელახლა ლოგინში აღმოვჩნდი.

დიდი დრო არ დამჭირვებია მივმხვდარიყავი, რომ მომღერალი ჩემ მოსახიბლად კეკლუცობდა, რაზეც გული მეკუმშებოდა, რადგან არა მარტო მომწონდა, მის მიმართ პატივისცემის გრძნობითაც განვიმსჭვალე. ბოლოს მომღერალი ჩემს დას, ნინას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს ძმასაც გაენდო და უთხრა: „თქვენი ძმა მიყვარს, მისთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ; ჯერ არ შემხვედრია ესოდენ თავდაჭერილი, კეთილშობილი ახალგაზრდა; ვგრძნობ, ეს არ იქნება უპასუხო სიყვარული“.

მისი ნათქვამი რომ გადმომცეს, მყისვე გონება მოვიკრიბე, მისთვის სიმართლის თქმა გადავწყვიტე და ნინასა და თენგიზს ვუხმე:

– „ნინა,“ ვუთხარი,– „ახლა კი დროა, ამ მომხიბლავ ყმაწვილ ქალს აუხსნათ, სინამდვილეში ვინა ვარ.“

– „ვერ გავკადნიერდები და ამხელა ტკივილს ვერ მივაყენებ“, – მიპასუხა ნინამ.

– „მაშინ ეს შენზე იყოს“, – მივუბრუნდი თენგიზს.

– „არასოდეს“! – წამოიძახა მან.

– „კეთილი, მაშ ისღა დამრჩენია, თავად გავუმხილო. ეს ხომ ფრიად ფაქიზი თემაა, ის კი იმდენად კარგი ადამიანია, ამ არნახულ გაუგებრობაში ყოფნას ნამდვილად არ იმსახურებს.“

მეორე დღეს, როგორც კი მადმუაზელ მ.ბ. გვესტუმრა, ოჯახის წევრები თითქოს რაღაც ჯადოსნური მანქანებით გაუჩინარდნენო, ჩვენ ერთმანეთის პირისპირ დავრჩით. თუნდაც იმის გაფიქრებაც კი, რომ ამ ახალგაზრდა მშვენიერ მსახიობ ქალს, უნებლიედ დიდ გულისტკივილს ვუმზადებდი, მბოჭავდა და საშინლად მთრგუნავდა, მაგრამ მოსახდენი უნდა მომხდარიყო: „ეს ამბავი კარგა ხნით ადრე უნდა მეთქვა, მაგრამ გამოგიტყდებით, სითამამე არ მეყო...“ შევბედე მას.

ქალი საერთოდ ვერ მიხვდა, რას ვეუბნებოდი, ხელები ყელზე შემომხვია, თითქოს ჩემს მზერას გაურბისო, თავი მხარზე დამადო და აღმუღმოდებულმა მორცხვად ჩამჩურჩულა:

– „მითხარით, მითხარით...“

მის თრთოლვას ვგრძნობდი, მაგრამ თავი ხელში ავიყვანე და მშვიდად რომ დავეხსენი მკლავებიდან, უმალვე მივხვდი, ძალზე გამიჭირდებოდა ყველაფრის თქმა.

– „მეგობარო, ძვირფასო“, მივმართე მას, „ახლა შინ დაბრუნდით, ხვალ გნახავთ, რადგან სითამამემ დღესაც მიღალატა. ხვალ კი ნამდვილი აღსარება უნდა მოისმინოთ, რაც ვშიშობ, ძალზე მტკივნეული იქნება.“

ქალმა ჭერისკენ აღაპყრო მზერა, გაფითრდა და გველნაკბენივით გამშორდა, თუმც ჩემს ნათქვამს ბოლომდე ვერ ჩასწვდა. მეორე დღეს ადრიანად ვეწვიე, ხელები დავუჭირე და აღსარების სიტყვები სულმოუთქმელად მივახალე: – „მადმუაზელ... კეთილო მეგობარო... უნდა დამივიწყოთ... მე ქალი ვარ.“ სახეზე აღბეჭდილი დაბნეულობა თანდათან შიშში გადაეზარდა, მერე კი ერთი ღრმად ამოისუნთქა და გული წაუვიდა.

იმავე საღამოს მომღერალი ქალი თვალცრემლიანი ისმენდა ჩემს თავგადასავალს ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურზე, იმაზე, თუ რამ მაიძულა, ჩემი ვინაობა შემენიღბა. დღესაც არა ვარ დარწმუნებული, დაიჯერა თუ არა, ქალი რომ იყო ის ახალგაზრდა ჯარისკაცი, ვის გამოც მან საკუთარი ნიშნობა ჩაშალა.

მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ, სანახავად რომ შემოიარა, ვიგრძენი, ჩემდამი ინტერესი სრულიად გაქრობოდა. საშინლად ვწუხდი ამ მშვენიერი ახალგაზრდა ქალის გამო და სირცხვილი და სინდისის ქენჯნა მტანჯავდა.

სამი დღის შემდეგ პეტროგრადი დავტოვე და დედაჩემის სანახავად კიევს გავემგზავრე, სადაც კლიმატის შესაცვლელად იმყოფებოდა. ჩემი იქ შვებულებით ჩასვლისას კი თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა.

ამ ამბის მერე მადმუაზელ მ.ბ. აღარ მინახავს. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ომის დამთავრების შემდეგ გათხოვილა.

კიევში ჩემი ძმა, თენგიზი მახლდა. აღდგომა დედასთან გავატარეთ. წირვა ღამით იწყებოდა და ტანსაცმლის გამოცვლას ველარ ვასწრებდით, რადგან მატარებელი 11. 45 საათზე ჩადიოდა. ამიტომ პირდაპირ მონასტერს მივაშურეთ,

სადაც დედა გვეგულებოდა. ის მართლაც მონასტერში დაგვხვდა, მონაზვნების გარემოცვაში. მონაზვნები ნეფისკენ წაგვიძღვნენ და ადგილები კლიროსის მისასვლელთან მიგვიჩინეს, სადაც სამხედრო უნიფორმებში გამოწყობილთა ნახვამ ყველანი ისე აღაფრთოვანა, ეჭვი არ მეპარება, თავიანთ საგალობლებს ქვეყნის ახალგაზრდა დამცველთა სავედრებელ ლოცვასაც დაამატებდნენ. რადგან ჯარისკაცები ვიყავით, კურთხევა აღსარების გარეშე მოგვეცა. მღვდელმა სეფისკვერი შემომთავაზა და, წესისამებრ, ნათლობის სახელი მკითხა: – „ჯემალი,“ მყისვე მივუგე და არც კი დავფიქრებულვარ, ამით მკრეხელობა ხომ არ ჩავიდინე.

●

რამდენიმე დღის შემდეგ დედაჩემის ნათესავს ვესტუმრე, სადაც თავად გიორგი შერვაშიძეს შევხვდი, რომელიც შორეულ ნათესავად გვერგებოდა და ქვრივ იმპერატრიცას სამეფო კარზე ობერჰოფმაისტერი გახლდათ. ეს არაჩვეულებრივი პიროვნება უკვე საკმაოდ მობერებული ჩანდა და შიგა და შიგ მეხსიერებაც ღალატობდა. ამიტომ დიდად არ გამჭირებია, თავი ჩემს უმცროს ძმად გამესაღებინა. ნათესავი იმდენად მოვხიბლე, რომ გადაწყვიტა ყოველ დღე სასახლეში ვხლებოდი და მისი ბრძანებები



გიორგი შერვაშიძე

შემესრულებინა. ამ ყველაფერზე თანახმა ვიყავი, რადგან ვიმედოვნებდი, ჩვენი ლეგიონის ლაზარეთის ოფიცრად დანიშვნაში დამეხმარებოდა. ასიამ წერილობით მაცნობა, რომ მიუხედავად დაპირებისა, ექიმი ქარაბეკოვი ჩემ იქ დატოვებას არ აპირებდა.

ერთ საღამოს, დიდი რელიგიური დღესასწაულის წინ, მოხუცმა თავადმა, სასწრაფოდ სასახლეში გამოცხადდიო, შემომითვალა და რომ ვეახლე, ძალზე აღელვებული დამხვდა: „ოჰ, ჩემო ძვირფასო, პატარა ჯემალ,“ მითხრა, „უნდა დამეხმარო, როგორმე ამ ხლაფორთიდან უნდა მიხსნა. მისმა უდიდებულესობამ, პრინცესა მარიამ, ხვალ დილით, საავადმყოფოების შემოვლა გადაწყვიტა. ასეთ დროს, ტრადიციულად, მას რამდენიმე გირვანქა ტკბილეული მიაქვს დასარიგებლად. ტკბილეულის ყიდვა კი მე მევალება. ხვალ რომ დღესასწაულია და ყველა მაღაზია უკვე დაიკეტებოდა, თავიდან სულ ამომივარდა. ჩემო ბიჭუნავ, უნდა დამეხმარო, რომ ამ გაუგებრობას როგორმე თავი დავაღწიო. რაც მთავარია, არ დაივიწყო, ტკბილეულობა მისი უდიდებულესობისთვის არის განკუთვნილი და ებრაელებთან არაფერი შეიძინო!“

ჩემი განკარგულებით, ცხადია, ვერცერთი მაღაზია ვერ გაიღებოდა, მაგრამ გავითვალისწინე, რომ რელიგიასთან ტკბილეულობა საერთოდ არაფერ შუაშია და ბოლოს ყველაფერი, რაც კი მის უდიდებულესობას ქველმოქმედებისთვის სჭირდებოდა იმ ებრაელთან შევიძინე, მართლმადიდებლური დღესასწაული მაღაზიის დაკეტვას სულაც რომ არ ავალდებულებდა. ობერჰოფმაისტერი კი, სამოთხეში მისი კუთვნილი სამყოფელიდან, უპირობოდ მიწყალობებდა შენდობის გარანტიას!

გმირობის ამ აქტმა, როგორც მას თავადმა უწოდა, ჩემდამი მისი კეთილგანწყობა გააასმაგა და რამდენიმე დღე მალარიის შეტევით საწოლს რომ მივეჯაჭვე, ჩემმა გაუჩინარებამ გულწრფელად შეაწუხა. ერთხელ, დილით ცხვირიდან სისხლი რომ მომდიოდა და საზიზღარ გუნებაზე დავდექი, ნათესავის დაჟინებული მოთხოვნით, სასახლეში სრული აღკაზმულობით გამოცხადება მებრძანა. სიცხე მქონდა და მაკანკალებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ცხვირიდან სისხლდენა როგორღაც შევაჩერე, ჩემით გამოვეწყვე და ბრძანებას დავემორჩილე.

– „რა მოხდა, ბოლო რამდენიმე დღეა რატომ აღარ ჩანხარ?“ – მკითხა შერვაშიძემ.

– „მალარიამ შემომიტია“.

– „არა უშავს, მაინც მშვენიერ ფერზე ხარ“.

– „ცხადია, კარგ ფერზე ვიქნები, ახლაც მაღალი სიცხე მაქვს“.

– „ოჰ, ეგ არაფერი, დაბრუნებამდე აქ დამელოდე“, გამაფრთხილა. მერე კი სადღაც გაუჩინარდა, რამდენიმე წუთში ისევ გამომეცხადა და გამომყევიო, მიბრძანა.

– „სად მივყავართ“?

– „მაქვს პატივი, ქვრივ იმპერატრიცას წინაშე წარგადგინო“.

– „რაო! ახლა, როცა ასეთ დღეში ვარ“?

– „ოჰ, მშვენივრად გამოიყურები, ეგ მუნდირი ხომ პირდაპირ გხატავს“.

ახლა უკვე მღელვარებისგან ვკანკალებდი, თუკი რამ ამქვეყნად ხიფათია, ყველაფერი წარმოვიდგინე – ცხვირიდან სისხლი ისევ რომ წამსკდეს, სიცხისაგან კბილები ამიკაწკაწდეს, ანდა სულაც გული წამივიდეს, – რას შევები მერე?!

რამდენიმე ოთახი გავიარეთ, რომ უცებ შერვაშიძემ ერთ-ერთი კარი გამოაღო, ჩემი გვარი გამოაცხადა, შედიო, მიბრძანა და თავად კვლავ სადღაც გაუჩინარდა.

ის-ის იყო გაოგნებულმა ნაბიჯი ძლივს წავდგი წინ, რომ მახინჯღრუნჩიანი ძაღლი ჩემი ფეხებისკენ დაიძრა და გაშმაგებით აყეფდა. დაძაბულობისგან ადგილზე გავშეშდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა – წინ წავსულიყავი თუ უკან დამეხია. მაგრამ ამ დროს ოთახის სიღრმიდან ხმა მომესმა, რომელმაც ცხოველი დააშშვიდა, მე კი გულთბილად მომესალმა:

– „მაქვს პატივი მივესალმო თქვენს საიმპერატორო უდიდებულესობას,“ – მივუგე.

– „მომიახლოვდით,“ – მომმართა ხმამ. ბრძანებას ყოყმანით დავემორჩილე.

– „უფრო ახლოს,“- განაგრძობდა ხმა, ამჯერად ერთგვარი თავშეკავებით.

იმპერატრიცას ტახტისაკენ გავემართე, თავი ჩვეულზე მდაბლად დავუკარი და საკოცნელად გამოწვდილ ხელზე ვეამბორე.

იმპერატრიცა მარია ტანდაბალი იყო და ლამაზიც არ ეთქმოდა, მაგრამ თავი იმდენად ღირსეულად ეჭირა, მისი უდიდებულესობის წინაშე სიმამაცით გამორჩეული ნებისმიერი რაინდიც კი შედრკებოდა…

ისე დავიბენი, მერჩია, მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავეტანე, მაგრამ იმპერატრიცამ სულ რაღაც წამებში მოახერხა ჩემი დამშვიდება და როგორც კი თავი ხელში ავიყვანე, სრულიად გარკვევით, სიტყვა სამხედრო კარიერაზე ჩამომიგდო. პასუხის მომენტში, საბედნიეროდ, თანდათან დაბნეულობამ გამიარა და ფრონტიდან შვებულებით დაბრუნებული ჯარისკაცის ნიღაბიც გაცილებით ბუნებრივად მოვირგე.

მერე ჩემი ძმები, დედა და დები მოიკითხა და ნახევარ საათიანი საუბრის შემდეგ შინაურულად, თუმც გულმოწყალე პიროვნების ლმობიერებით მკითხა:

– „რით შემიძლია გემსახუროთ?“

– „თქვენო უდიდებულესობავ, ამჟამად რაიმე გარკვეულ მოვალეობას არ ვასრულებ და სულითა და გულით მინდა, კავკასიის „ველური დივიზიის“ თათართა ლეგიონის 22-ე ლაზარეთში, რომელიმე ოფიციალურ პოსტზე დავინიშნო. თანაც კარგი იქნება, თუ ფრონტს რაც შეიძლება სწრაფად მივაშურებ“.

– „კეთილი, ლაზარეთის უფროს ასისტენტად დაინიშნებით და, როგორც კი საბუთები ხელთ გექნებათ, მოვალეობის შესრულებას უმალვე შეუდგები თ. თავადი შერვაშიძე ახლავე მიიღებს საჭირო ზომებს.“

მან კვლავ გამომიწოდა ხელი საკოცნელად და კმაყოფილმა საუბრითა და იმით, რომ სასაცილო გაუგებრობებს, რასაც, ჩემი ვარაუდით, ვერ ავცდებოდი, თავი დავაღწიე, იქურობა დავტოვე.

იმპერატრიცამ მყისვე ჩემს თანამემამულეს უხმო და სულ რაღაც ნახევარ საათში, პოლკოვნიკის თანხლებით, რომელიც მისი უდიდებულესობის გვარდიაში მსახურობდა და საიმპერატორო ეტლით, წითელი ჯვრის შტაბისაკენ გავემართე.

ბრწყინვალე პატრონის წყალობით, გენერალმა ივანიცკიმ მყისვე მიმიღო და სულ მალე ყველა საჭირო დოკუმენტი გადმომცა. უკვე ხელთ მქონდა, რაც ამდენ ხანს გულით მეწადა. ჩემდამი ქარაბეკოვის უკეთურ ზრახვას კი, თუკი ასეთი რამ მართლა ჩაეფიქრებინა, ბოლო ელებოდა.

თარგმნა

ქეთევან ტომარაძემ

595 85 09 36

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**- რა შემთხვევაში არ დაიშვება ქორწინება?**

- დაქორწინება არ დაიშვება:

• იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვაზე;

• პირდაპირ, აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის;

• ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის;

• მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;

• იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი მხარდაჭერის მიმღებია და რომლებსაც არ დაუდიათ საქორწინო ხელშეკრულება.

-რა შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს ერთ-ერთმა მეუღლემ მიმართოს განცხადებით განქორწინების მოთხოვნით?

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურისთვის განქორწინების მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს ერთ-ერთ მეუღლეს, თუ:

• არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ;

• მეორე მეუღლე კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად;

• მეორე მეუღლე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ 3 წლისა.

- რა შემთხვევაშია განქორწინება დაუშვებელი?

- ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან 1 წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე.

* * *

**- რა სპეციფიკური ღონისძიებები არსებობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისაგან არასრულწლოვნის დასაცავად?**

- არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია დროებითი ღონისძიების სახით მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან არასრულწლოვანი განაცალკევოს. არასრულწლოვნის წარმომადგენლის უფლების საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მოძალადე მშობლისათვის წარმომადგენლის უფლების დატოვება საზიანოა არასრულწლოვნის ინტერესებისათვის. დაუშვებელია მშობლებისათვის არასრულწლოვანზე ერთობლივი მეურვეობის დატოვება, თუ არსებობს მის მიმართ ერთ-ერთი მშობლის მხრიდან ძალადობის საფუძვლიანი ვარაუდი.



არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი.

დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით;

დაუშვებელია სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა, ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში; ასევე, მისთვის (მათთვის) არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა ან გადაცემა.

არასრულწლოვნის (ბავშვის) მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენის (პირველადი იდენტიფიკაციის) და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ: სამედიცინო დაწესებულებას, სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ სხვა შესაბამის დაწესებულებებს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს.

# დედოფლის მთავარი საყრდენი – პრინცი ფილიპი

პრინცი ფილიპი, ედინბურგის ჰერცოგი, დედოფალ ელიზაბეთ II-ის ქმარი, 99 წლის ასაკში გარდაიცვალა. პრინცი, რომელსაც სამშობლოდან გაქცევამ მოუწია, ბრიტანეთის, რუსეთისა და დანიის მონარქთა ნათესავი, მამაცი სამხედრო და არაპოლიტკორექტული ხუმრობების მოყვარული და ყველაზე საიმედო ადამიანი იყო.

პრინცმა ფილიპმა ყველაზე ხანგრძლივი ცხოვრება განვლო ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრთაგან მთელი ისტორიის მანძილზე. ფილიპისა და ელიზაბეთის ქორწინება ყველაზე ხანგრძლივი იყო. ამასთან, ფილიპი პირველია დიდი ბრიტანეთის მონარქების მეუღლეებს შორის, 1861 წელს გარდაცვლილი პრინცი ალბერტიდან მოყოლებული, რომელიც სიუზერენზე ადრე გარდაიცვალა.



როგორი იყო პრინცი ფილიპი...

**იძულებითი გაქცევა და რთული ბავშვობა.** პრინცი ფილიპი 1921 წლის 10 ივნისს დაიბადა საოჯახო ვილაზე საბერძნეთის კუნძულ კორფუზე. მამამისი — საბერძნეთისა და დანიის პრინცი, ხოლო დედა პრინცესა ალისა ბატენბერგი იყო. ფილიპი საბერძნეთის, დანიის, ბრიტანეთისა და რუსეთის სამეფო დინასტიების შთამომავალია. გარდა ამისა, დედოფალი ელიზაბეთი და ის ნათესავები არიან — ორივე დედოფალ ვიქტორიას შვილთაშვილები არიან.

ფილიპის ბავშვობა აღსავსე იყო დრამატული მოვლენებით. ამბობდნენ, რომ ჰერცოგის ჯიუტი ხასიათი და მისი სწორხაზოვანი შეხედულებები რთული ბავშვობითა და უცნაური აღზრდით იყო განპირობებული. ფილიპი პრინც ანდრეის ოჯახში მეხუთე შვილი და ერთადერთი ვაჟი იყო. მისი დაბადებიდან და თურქეთის ომში დამარცხებიდან ერთი წლის შემდეგ, საბერძნეთში აჯანყებამ იფეთქა. საბერძნეთის მეფე კონსტანტინე I იძულებული გახდა, ტახტზე უარი ეთქვა, ხოლო საბერძნეთის არმიის გენერალ-მაიორს, პრინც ანდრეის სიკვდილი მიუსაჯეს ბრძანებების დაუმორჩილებლობის გამო. ფილიპის მამა ბრიტანეთის ჩარევამ გადაარჩინა: ის მეფე გეორგ V-ის ნათესავი იყო. პრინცი არ დაუსჯიათ, რადგან სამხედრო საქმეში გამოუცდელად მიიჩნიეს, ოჯახს კი ქვეყნიდან გაქცევამ მოუწია. ისინი საფრანგეთში დასახლდნენ ანდრეის ძმასთან, პრინც გეორგთან და მის მეუღლესთან მარია ბონაპარტთან.

ფილიპის დედას ალისას ფსიქიკური გადახრები ჰქონდა და იძულებითი წესით მკურნალობდა კლინიკაში. მოგვიანებით ის მონაზონი გახდა. საბერძნეთიდან განდევნის შემდეგ მამა, პრინცი ანდრეი საყვარელთან ერთად საფრანგეთის სამხრეთში გაიქცა. ცხრა წლის ასაკში ფილიპი ინგლისში გაგზავნეს დახურულ სკოლაში, რის შემდეგაც მშობლებს თითქმის არ ხვდებოდა. ფილიპის ბიოგრაფი იდი წერს, რომ სკოლაში მას კარგი მოსწრების გამო აქებდნენ, მაგრამ ახასიათებდნენ, როგორც იმპულსურ, ადვილად გაღიზიანებად და უხეშ მოზარდს.

**ელიზაბეთთან ნაცნობობა, ომი და ქორწილი.** ფილიპმა ელიზაბეთის ყურადღება ჯერ კიდევ 1939 წელს მიიპყრო, როცა თვითონ 18 წლის, ხოლო გოგონა 13 წლის იყო. გეორგ VI ოჯახთან ერთად ჩავიდა სამეფო სამხედრო-საზღვაო კოლეჯში, დარტმუტში, სადაც თვითონაც სწავლობდა და რომლის კურსანტიც იყო ფილიპი. დედოფლის ძიძის თქმით, ელიზაბეთმა მაშინვე მიაქცია ყურადღება ცისფერთვალა ქერა ყმაწვილს. ახალგაზრდები გაცნობიდან რვა წლის შემდეგ დაქორწინდნენ.

ფილიპს ოთხი და ჰყავდა, რომლებიც ცოლად გერმანელ არისტოკრატებს და ნაცისტური პარტიის წევრებს გაჰყვნენ. ფილიპს ნაცისტების ნათესავად მიიჩნევდნენ. ამის გამო მისი დები ქორწილშიც კი არ დაუპატიჟებიათ. სამაგიეროდ, მეორე მსოფლიო ომის დროს ფილიპის დედამ ალისამ ნაცისტებისგან ებრაელი კოენების ოჯახი გადაარჩინა.

1940 წელს პრინცმა ფილიპმა დაამთავრა სამხედრო-საზღვაო კოლეჯი და სამხედრო სამსახურში ჩადგა. 21 წლის ასაკში ის ერთ-ერთი იყო სამეფო ფლოტის იმ მცირერიცხოვან ოფიცრებს შორის, რომლებმაც უფროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო. ის დაჯილდოებული იყო ასევე საბერძნეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი — ორდენით სიმამაცისთვის. მან სამხედრო სამსახურის დროს გადაარჩინა თავისი ხომალდი ჩაძირვისგან 1943 წლის ივლისში, როცა გერმანულ ბომბდამშენებს ყურადღება სხვა ობიექტზე გადაატანინა.

ომის შემდეგ ჰერცოგს კარიერის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. 1947 წელს ფილიპი და ელიზაბეთი დაქორწინდნენ. მაშინ ვერც კი იფიქრებდნენ, რომ ქალი 25 წლის ასაკში ავიდოდა ტახტზე.

ქორწილი ბრიტანელებისთვის უდიდესი სასიხარულო მოვლენა გახდა. ცერემონია ვესტმინსტერის სააბატოში გაიმართა. მოწვეული იყო ორი ათასი ადამიანი, ბუკინგემის სასახლესთან კი მრავალათასიანი ბრბო იყო შეკრებილი. პრინცს ფული არ ჰქონდა და პატარძლის პლატინის საქორწინო ბეჭედი დედოფალ ალისას ტიარიდან ამოღებული ბრილიანტით იყო შემკული.



დაქორწინების შემდეგ ფილიპს მოუწია უარი ეთქვა თავის ბერძნულ და დანიურ ტიტულებზე, მართლმადიდებლობის ნაცვლად ანგლიკანური რწმენა მიეღო, გამხდარიყო ბრიტანეთის მოქალაქე და ახალ გვარზე გადასულიყო — მაუნტბეტენი (ასე ჟღერს მისი დედის გვარი ინგლისურ მანერაზე — ბატენბერგი). ქორწინებამდე გეორგ VI-მ მომავალ სიძეს მიანიჭა ედინბურგის ჰერცოგის, მარიონეტის გრაფისა და გრინვიჩის ბარონის ტიტულები. ფილიპისა და ელიზაბეთის ქორწინება ბრიტანეთის მონარქიის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა.

ფილიპისა და ელიზაბეთის ქორწინებიდან ხუთი წლის შემდეგ გარდაიცვალა ელიზაბეთის მამა. ფილიპი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამხედრო სამსახური.

გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა ჭორები ფილიპის ღალატის შესახებ, თუმცა დამამტკიცებელი საბუთები წარმოდგენილი არ ყოფილა. პრინცის სავარაუდო საყვარლებს შორის ასახელებდნენ მომღერალ ელენ კორდეტს, მსახიობ პეტ კირკვუდს, ტელეწამყვან კეტი ბოილს და მწერალ დაფნა დიუ მორიეს...

ასე თუ ისე, ელიზაბეთისა და ფილიპის ქორწინება მყარი აღმოჩნდა. მათ ოთხი შვილი ჰყავთ: უელსის პრინცი ჩარლზი, დიდი ბრიტანეთის პრინცესა ანა, იორკის ჰერცოგი ენდრიუ და უესექსის პრინცი ედუარდი.

**პოლოს მოთამაშე, ნიჭიერი პილოტი და კულინარიული შოუების მოყვარული.** პრინცს ბევრი გატაცება ჰქონდა — პოლოს თამაშიდან და თევზაობიდან დაწყებული, ფერწერითა და პილოტირებით დამთავრებული. 1956 წელს ჰერცოგმა შეძლო სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის დასმა, მას შემდეგაც კი, როცა პილოტის კაბინაში ცეცხლმაქრი აფეთქდა. დროთა განმავლობაში ჯანმრთელობის გამო დედოფლის მეუღლე იძულებული იყო, ბევრ საყვარელ ჰობიზე ეთქვა უარი. მაგრამ მისი ბიოგრაფის, ინგრიდ სიუარდის თქმით, მაინც იპოვა გატაცება — კულინარიული შოუები.

ფილიპს ძალიან უყვარდა ავტომანქანები და ბოლო დრომდე თვითონ ატარებდა.

**ძლიერი ხასიათი.** პრინც ფილიპის ბიოგრაფი ჯაილდ ბრანდრეტი მიიჩნევს, რომ ბედნიერი ხანგრძლივი სამეფო ქორწინების გასაღები ის იყო, რომ ჰერცოგი დედოფალს ხშირად აცინებდა. პრინცის შვილიშვილი, იორკის პრინცესა ეჟენი ამბობდა, რომ ის არაჩვეულებრივია — ძლიერი და საიმედო. შვილები და შვილიშვილები ფილიპს ახასიათებენ, როგორც ადამიანს, რომელიც ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებდა და კონფლიქტებს აგვარებდა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22




## ასკურავას მეთოდი




ასკურავას მეთოდით, ქირურგიული ჩარევის გარეშე, სწრაფად, ეფექტურად და უმტკივნეულოდ რჩება სხვადასხვა სახის მოტეხილობა, ნაღრძობი, მენისკი, პერტესი, პოდაგრა და ძვლების სხვა დაავადებები.

საგვარეულო საიდუმლო დღემდე რჩება საიდუმლოდ და მისი ანალოგი არ მოიპოვება მსოფლიოში.

დღეს ფირმას ხელმძღვანელობს ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრის

**ბიჭიკო ასკურავას შვილიშვილი, ექიმი დავით ასკურავა.**

მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონებზე:
მობ.: 593 55 00 30; 577 41 19 11.
ტელ.: 2 99 96 94; 2 98 86 84.


„საერთო გაზეთის" მხარდასაჭერი ფონდი

ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი". კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.


საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1